პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

29 ივნისი შაბათი 1968

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 150 (14146)

ხუთწლედი — ვადამდე!

მოსკოვის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა 1968 წლის პირველი ნახევრის გეგმა

მოსკოვის სამრეწველო წარმოთა კოლექტივებმა, ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება 1970 წლის 7 ნოემბრისათვის ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ვადამდე, 25 ივნისს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის გახსნის დღეს, შეასრულეს სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობისა და მეტი წილი უმნიშვნელოვანესი ნაწარმის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა.

1968 წლის პირველ ნახევარში ქალაქის მრეწველობამ კიდევ უფრო გაზარდა პროდუქციის მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი.

თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

თბილისის მრეწველობის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, 27 ივნისს შეასრულეს 1968 წლის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმა.

სამრეწველო წარმოების მოცულობა შარშანდელთან შედარებით 7,6 პროცენტით გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება — 4,8 პროცენტით, მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, მიღებულია ზეგეგმითი მოგება.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, მეცნიერებთან და კონსტრუქტორებთან მჭიდრო თანამეგობრობით, დაუღალავად შრომობენ ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, შრომის ორგანიზაციის სრულყოფისათვის, ახალი სახეობის ნაწარმის ათვისებისათვის, პროდუქციის ხარისხის, საიმედოობისა და ხანგრძლივობის გაუმჯობესებისათვის.

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე ბევრი საწარმოს გადასვლამ დიდი შესაძლებლობანი შექმნა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის.

სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან კომუნისტური შრომის კოლექტივები, წარმოების მოწინავენი, ნოვატორები.

ქალაქ თბილისის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პირნათლად გაანაღდონ სოციალისტური ვალდებულებანი — ვადამდე შეასრულონ 1968 წლის გეგმის და ხუთწლედის დავალებანი, ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს. (საქდესი).

ნოგბათები საქშრომლის

თელავის რაიონის მეცხოველეებმა ვადაზე ადრე გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმები. ხორცის დამზადების ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 100,8 პროცენტით, რძისა — 100,7 პროცენტით, კვერცხისა — 118,9 პროცენტით, მატყლისა — 145,5 პროცენტით. დიდი გადამეტებით შესრულდა აგრეთვე ტყავეულეულის დამზადების გეგმა. ამ საქმეში თავი ისახელეს ლალისყურის მეცხვარეობის საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობამ, სანაორის, ბუშეტის და სხვა კოლმეურნეობებმა. ეს რედაქციას აცნობეს პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ვარდოშვილმა, რაიისბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. შარაბიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. ბაკურაძემ, — 20 ივნისს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს 108 პროცენტით, რძისა — 104 პროცენტით, კვერცხისა — 106 პროცენტით.

ბაღაშის რაიონის მეაბრეშუმეებმა, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება, 22 ივნისისათვის 103,6 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 1.100 ცენტნერი აბრეშუმის პარკის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 1.140 ცენტნერი. განსაკუთრებით ისახელეს თავი სოფლების ტყვარის, კეთილარის, ნიესაკოვოს, ძველი აბაშის, მარნის, გეზათის კოლმეურნეობებმა. მეაბრეშუმეებმა გადაწყვიტეს გეგმის გადამეტებით დაამზადონ 100 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ჩაგუნავამ, რაიისბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ნადარეიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გ. კუცია.

გეგეჭკორის რაიონის მშრომელებს ვალდებულებით სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა უნდა შეესრულებინათ პირველი მაისისათვის. ბეჯითი შრომით პირობა ვადაზე ადრე გაანაღდეს. სახელმწიფოს მიეყიდა 387 ათასი ცალი კვერცხი, რაც ნახევარი წლის გეგმის 103,2 პროცენტს შეადგენს.

კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

ქორწინებისა და ოჯახის თაობაზე სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო აღნენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები და სამოქმედოდ შემოღებულ იქნას 1968 წლის 1 ოქტომბრიდან.

მუხლი 2. დადგინდეს, რომ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლით გათვალისწინებული წესი ბავშვის მამად იმ პირის ცნობის სასამართლო წესის შესახებ, რომელთანაც დედა ქორწინებაში არ ყოფილა, გამოყენებულ იქნება საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ დაბადებული ბავშვების მიმართ.

მუხლი 3. იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე შეეძინებათ დაუქორწინებელ პირებს, მამობა შეიძლება დადგინდეს ბავშვის დედისა და იმ პირის ერთობლივი განცხადებით, რომელიც თავს ბავშვის მამად ცნობს. იმ პირის გარდაცვალების შემთხვევაში, რომლის კმაყოფაზე იყო ბავშვი და ცნო თავი ბავშვის მამად, მის მიერ მამობის ცნობის ფაქტი შეიძლება დადგინდეს სამართლის წესით. მშობლების ერთობლივი განცხადების ან მამობის ცნობის ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაბწერ ორგანოებში წარმოებს შესაბამისი რეგისტრაცია ბავშვის დაბადების მოწმობაში მამის ჩაწერით.

მამობის დადგენა სრულწლოვანებას მიღწეულ პირთა მიმართ შეიძლება მხოლოდ მათი თანხმობით.

მუხლი 4. მამობის დადგენისას ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული წესით ბავშვებს ისეთივე უფლებანი და მოვალეობანი აქვთ მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ, როგორიც ბავშვებს, რომლებიც ერთმანეთთან ქორწინებაში ნამყოფი პირების შვილები არიან.

მუხლი 5. საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე დაბადებული ბავშვის დედის განცხადებით დაბადების ჩაწერის წიგნში და ბავშვის დაბადების მოწმობაში ჩაიწერება ბავშვის მამა იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლის მესამე ნაწილით.

მუხლი 6. შენარჩუნებულ იქნას დაუქორწინებელი დედის ის უფლება, რომ მიიღოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო დახმარება მის მიერ შობილი ბავშვის რჩენისა და აღზრდისათვის, აგრეთვე უფლება — მოათავსოს ბავშვი საბავშვო დაწესებულებაში სარჩენად და აღსაზრდელად მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე, თუ ბავშვის მამა არ დადგინდება კანონით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 7. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესი და შეუფარდოს სსრ კავშირის კანონმდებლობა საფუძვლებს.

მუხლი 8. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს შეუფარდონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1968 წ. 27 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს მოხსენების გამო — „საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ“

მოისმინა და განიხილა რა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ“, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

სრულად ეთანხმება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოხსენებულ ძირითადი ხასიათის დებულებებს, ამტკიცებს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ლენინურ, ინტერნაციონალურ ბუნებას, ეროვნული ინტერესებისა და ხალხთა ძმობის ერთიანობას, ეროვნული ინტერესებისა და ინტერნაციონალური ვალდებულებების

საფუძვლები სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობისა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ

ზრუნვა საბჭოთა ოჯახისათვის, რომელშიც ჰარმონიულად არის შეხამებული მოქალაქეთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საბჭოთა კავშირში შექმნილია ოჯახის განმტკიცებისა და აყვავების ყველაზე ხელშემწყობი პირობები. განუხრელად უმჯობესდება მოქალაქეთა მატერიალური კეთილდღეობა, ოჯახის საბინაო-საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობები. სოციალისტური საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობს დედობის დაცვას და წახალისებას, ბედნიერი ბავშვობის უზრუნველყოფას.

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდა, მისი ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარება ოჯახის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. სახელმწიფო და საზოგადოება ყოველნაირად ეხმარებიან ოჯახს ბავშვების აღზრდაში, ფართოვდება საბავშვო ბაღების, ბაგების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ქსელი.

საბჭოთა ქალს უზრუნველყოფილი აქვს საჭირო სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები იმისათვის, რომ ბედნიერი დედობა შეუხამოს სულ უფრო აქტიურ და შემოქმედებითს მონაწილეობას საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა კანონმდებლობამ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი ოჯახური ურთიერთობის საბოლოოდ განთავისუფლებას მატერიალური ანგარიშებისაგან, ყოფაცხოვრებაში ქალის უთანასწორო მდგომარეობის ნაშთების აღმოფხვრას და კომუნისტური ოჯახის შექმნას, რომელშიც სრულად დაკმაყოფილდება წევრების ყველაზე ღრმა პირადი გრძნობები.

ნაწილი I.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანები.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანებია:

შემდგომი განმტკიცება საბჭოთა ოჯახისა, რომელიც ემყარება კომუნისტური მორალის პრინციპებს;

ოჯახური ურთიერთობის დამყარება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითს საქორწინო კავშირზე, მატერიალური ანგარიშებისაგან თავისუფალი ურთიერთ სიყვარულის, ოჯახის ყველა წევრის შეგობრობისა და პატივისცემის გრძნობებზე;

ოჯახის მიერ ბავშვების აღზრდა საშობლოსადმი ერთგულების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით საზოგადოებრივ აღზრდასთან ორგანულად შეხამებით და ბავშვების მომზადება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის;

დედისა და ბავშვის ინტერესების ყოვლმხრივ დაცვა და თვითეული ბავშვისათვის ბედნიერი ბავშვობის უზრუნველყოფა;

ოჯახურ ურთიერთობაში წარსულის მავნე გადმონაშთებისა და ჩვეულებების საბოლოოდ აღმოფხვრა;

ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის დანერგვა.

მუხლი 2. უფლებანი, რომელსაც აფესრიგებს კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ.

კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ ადგენს დაქორწინების წესსა დ პირობებს, აწესრიგებს პირად და ქონებრივ უფლებითობას, რომელიც ოჯახში წარმოიშობა ცოლქმრს, მშობლებსა და შვილებს შორის, ოჯახის სხვა წევრებს შორის, ურთიერთობას, რომელიც წარმოიშობა შვილად აყვანასთან, მეურვეობასა და მზრუნველობასთან, ბავშვების აღსაზრდელად აყვანასთან დაკავშირებით, განქორწინების წესსა და პირობებს, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესს.

მუხლი 3. ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა ოჯახურ ურთიერთობაში.

ოჯახურ ურთიერთობაში ქალსა და მამაკაცს თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებანი აქვთ.

უფლებათა თანასწორობას ოჯახში საფუძველად უდევს სსრ კავშირის კონსტიტუციით განმტკიცებული ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებანი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

მუხლი 4. მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა ოჯახურ ურთიერთობაში, მიუხედავად მათი ეროვნების, რასისა და რელიგიისადმი დამოკიდებულებისა.

ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი ეროვნების, რასის და რელიგიისადმი დამოკიდებულებისა, აქვს თანაბარი უფლებანი ოჯახურ ურთიერთობაში.

არ დაიშვება უფლებათა რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის დადგენა დაქორწინების დროს და ოჯახურ ურთიერთობაში ეროვნების, რასობრივი კუთვნილების ან რელიგიისადმი დამოკიდებულების მიხედვით.

მუხლი 5. დედობის დაცვა და წახალისება.

სსრ კავშირში დედობა გარემოსილია საყოველთაო-სახალხო პატივისცემითა და დაფასებით — მას იცავს და ახალისებს სახელმწიფო.

დედისა და ბავშვის ინტერესთა დაცვას უზრუნველყოფს სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნა, ორსულობისა და მშობიარობის გამო ქალისათვის შვებულების მიცემა ხელფასის შენახვით, ორსული ქალებისა და დედებისათვის შეღავათების დაწესება; წარმოებაში შრომის დაცვა, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების მიცემა, აგრეთვე ოჯახისათვის სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარების გაწევა.

მუხლი 6. საქორწინო და ოჯახური ურთიერთობის საკანონმდებლო რეგულირება სახელმწიფოს მიერ.

საქორწინო და ოჯახური ურთიერთობის საპარლამენტო რეგულირებას სსრ კავშირში ახორციელებს მხოლოდ სახელმწიფო.

აღიარებულია მხოლოდ დაქორწინება, რომელიც მოხდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში.

ქორწინების რელიგიურ წესს, ისე როგორც სხვა რელიგიურ წესებს, სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს. ეს წესი არ ეხება იმ რელიგიურ წესებს, რომლებიც შესრულებულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი საბჭოთა ორგანოების შექმნამდე ან აღდგენამდე და ამ წესების დასადასტურებლად მიღებულ დოკუმენტების დაბადების, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების შესახებ.

მუხლი 7. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ.

კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ შეიცავს ამ საფუძვლებს და მათ შესაბამისად გამოცემულ სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტებს, მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებს ქორწინებისა და ოჯახის შესახებ და სხვა საკანონმდებლო აქტებს.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა წყვეტს საკითხებს, რომლებიც ამ საფუძვლებით მიეკუთვნება მათს გამგებლობას, და საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის საკითხებს, რომლებიც უშუალოდ გათვალისწინებული არ არის ამ საფუძვლებით.

მუხლი 8. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის გაგოყენება.

დაქორწინებას, ურთიერთობას ცოლქმრს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, შვილად აყვანას, მამობის დადგენას, ალიმენტის გადახდევინებას, მეურვეობასა და მზრუნველობის დაწესებას, განქორწინებას, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას აწესრიგებს მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა, რომლის ორგანო ახდენს ან რეგისტრაციაში ატარებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესაბამის აქტს ან წყვეტს წამოჭრილ დავას.

ქორწინების, შვილად აყვანის, მეურვეობის და მზრუნველობის დაწესების და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სინამდვილე განსაზღვრავს იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზე მოხდა დაქორწინება, შვილად აყვანა, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება ან რეგისტრირებული იყო მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტი.

ნაწილი II.

ქორწინება

მუხლი 9. დაქორწინება.

დაქორწინება ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში.

ქორწინების რეგისტრაცია წესდება როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, ისე მეუღლეთა და შვილთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ დაქორწინება, რომელიც მოხდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში.

დაქორწინება ეფუძნება ორი თვის განვლას შემდეგ იმ დროიდან, რაც დაქორწინების მსურველები განცხადებას შეიტანენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში. ცალკეული შემთხვევებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება ამ ვადის შემცირება ან გადიდება.

დაქორწინება ხდება საზეიმო ვითარებაში. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები უზრუნველყოფენ ქორწინების რეგისტრაციის საზეიმო ვითარებას დაქორწინების მსურველ პირთა თანხმობით.

მუხლი 10. დაქორწინების პირობები.

დაქორწინებისათვის საჭიროა იმ პირთა თანხმობა, რომლებსაც დაქორწინება სურთ, და მათ მიერ საქორწინო ასაკის მიღწევა.

საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას შეუძლია გათვალისწინოს საქორწინო ასაკის შემცირება, მაგრამ სულ ბევრი ორი წლით.

დაქორწინება არ შეუძლიათ:

პირებს, რომელთაგან თუნდაც ერთი უკვე დაქორწინებულია სხვასთან;

პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავებს, ღვიძლ და არაღვიძლ ძმებსა და დებს, აგრეთვე შვილად ამყვანებსა და შვილად აყვანილებს;

პირებს, რომელთაგან თუნდაც ერთი სასამართლოს მიერ ცნობილია სულიერი დაავადებისა თუ ჭკუასუსტობის გამო არაქმედუნარიანად.

მუხლი 11. მეუღლეთა პირადი უფლებანი.

დაქორწინების დროს მეუღლეხი თავიანთი სურვილისამებრ ირჩევენ ერთ-ერთი მეუღლის გვარს თავიანთ საერთო გვარად ან მეუღლეთაგან თვითეული იტოვებს თავის ქორწინებამდელ გვარს.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობამ შეიძლება გაითვალისწინოს მეუღლეთა უფლება ატარონ ორი გვარი.

შვილების აღზრდის საკითხებსა და ოჯახის ცხოვრების სხვა საკითხებს მეუღლეები ერთად წყვეტენ.

თვითეულ მეუღლეს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს მოსაქმეობა, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი.

მუხლი 12. მეუღლეთა ქონება.

ქონება, რომელიც მეუღლეებმა ქორწინების პერიოდში შეიძინეს, მათი საერთო ერთობლივი საკუთრებაა. მეუღლეებს აქვთ ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარი უფლება.

მეუღლეებს თანაბარი უფლებანი აქვთ ქონებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო მეურნეობას, უვლიდა შვილებს, ან სხვა საპატიო მიზეზების გამო არა ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი.

საერთო ერთობლივი საკუთრების გაყოფის შემთხვევაში მეუღლეთა წილი თანაბარი უნდა იყოს. ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს, გაითვალისწინოს არასრულწლოვანი შვილების ინტერესები ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები.

მეუღლეთა დაქორწინებამდე კუთვნილი, აგრეთვე ქორწინების დროს საჩუქრად ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება თვითეული მათგანის საკუთრებაა.

ამ მუხლის წესები ვრცელდება მეუღლეთა — საკოლმეურნეო კომლის წევრთა მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც მათს პირად საკუთრებას შეადგენს.

მეუღლეთა საკოლმეურნეო კომლის საკუთრების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას აწესებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 13. მეუღლეთა ერთიერთ რჩენის ვალდებულებანი.

მეუღლენი ვალდებული არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. თუ ერთ-ერთმა მხარემ უარი თქვა მატერიალურ დახმარებაზე, რომელიც მეორე მხარეს სჭირდება, შრომისუნარო მეუღლეს, აგრეთვე ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მიიღოს სარჩო (ალიმენტი) მეუღლისაგან, თუ მას შეუძლია ამ სარჩოს მიცემა. ეს უფლება ძალაში რჩება განქორწინების შემდეგაც.

განქორწინებულ მეუღლეს, რომელსაც დახმარება ესაჭიროება, აგრეთვე აქვს სარჩოს მიღების უფლება, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში. თუ მეუღლენი დიდხანს იყვნენ ქორწინებაში, სასამართლოს უფლება აქვს ალიმენტი გადაახდევინოს განქორწინებული მეუღლის სასარგებლოდ იმ შემთხვევაშიც, თუ ამ მეუღლეს სპენსიო ასაკს მიაღწია არაუგვიანეს ხუთი წლისა განქორწინების მომენტიდან.

ცალკეულ შემთხვევებში მეუღლე შეიძლება განთავისუფლებულ იქნას მეორე მეუღლის რჩენის ვალდებულებისაგან ანდა მისი ვალდებულება შეიძლება განისაზღვროს ვადით. პირობებს, რომელთა დროს სასამართლოს შეუძლია ერთი მეუღლე გაათავისუფლოს მეორე მეუღლის რჩენის მოვალეობისაგან ან შეზღუდოს ეს მოვალეობა ვადით, ადგენს მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობა.

მუხლი 14. ქორწინების შეწყვეტა.

ქორწინება წყდება სიკვდილის შედეგად ან სასამართლო წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადების შედეგად.

მეუღლეთა სიცოცხლეში ქორწინება შეიძლება შეწყდეს განქორწინებით ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის განცხადებით.

განქორწინება ხდება სასამართლო წესით. სასამართლო ერღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად.

ქორწინება წყდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა.

ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის უქონლად აღძრას განქორწინების საქმე ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლო საჭიროა შემთხვევებში იღებს ზომებს არასრულწლოვანი ბავშვებისა და შრომისუუნარო მეუღლის ინტერესების დასაცავად.

მეუღლეთა განქორწინებაზე, რომლებსაც არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, ურთიერთთანხმობის დროს განქორწინება ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში. ამ შემთხვევებში გაყრის გაფორმება და მეუღლეებისათვის განქორწინების შესახებ მოწმობის მიცემა წარმოების სამი თვის მანძილზე განქორწინების შესახებ მეუღლეთა მიერ განცხადების შეტანის დღიდან.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში წარმოებს აგრეთვე განქორწინება პირებთან:

რომლებიც კანონით დადგენილი წესით აღიარებული არიან უგზოუკვლოდ წასულად;

კანონით დადგენილი წესით არაქმედუნარიანად აღიარებული არიან სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო;

დანაშაულის ჩადენისათვის მისჯილი აქვთ თავისუფლებას აღკვეთა სულ ცოტა სამი წლით.

თუ დავა წარმოიშვა, განქორწინება ამ შემთხვევებში ხდება სასამართლოს მეშვეობით.

მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს განქორწინების შემდეგაც ატარებდეს მეუღლის გვარს, ან მისი მოთხოვნით ეძლევა გვარი, რომელსაც დაქორწინებამდე ატარებდა.

მუხლი 15. ქორწინების ბათილობა.

ქორწინება შეიძლება ცნობილ იქნას ბათილად, თუ დარღვეულია პირობები, რომლებიც დადგენილია ამ საფუძვლების მეათე მუხლით, აგრეთვე მაშინ, თუ ქორწინების რეგისტრაცია არ ისახავდა მიზნად ოჯახის შექმნას (ფიქციური ქორწინება). ქორწინების ბათილად ცნობა ხდება სასამართლო წესით.

ქორწინების ბათილად ცნობა გავლენას არ ახდენს ასეთი ქორწინების დროს დაბადებულ ბავშვთა უფლებებზე, ქორწინების ბათილად ცნობის სხვა შედეგებს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ნაწილი III.

ოჯახი

მუხლი 16. მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლები.

მშობლებისა და შვილების ურთიერთ უფლება-მოვალეობებს საფუძვლად უდევს შვილების წარმოშობა, რაც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით.

ბავშვის წარმოშობა იმ მშობლებისაგან, რომლებიც ქორწინებაში არიან, დასტურდება მშობლთა ქორწინების შესახებ ჩანაწერით. ბავშვის წარმოშობა იმ მშობლებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ქორწინებაში არ არიან, იჩაგვება ბავშვის დედ-მამის ერთობლივი განცხადების შეტანის გზით მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში.

თუ ბავშვები შეეძინათ დაუქორწინებელ მშობლებს, მშობელთა ერთობლივი განცხადების უქონლობის შემთხვევაში მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით. მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებას და საერთო მეოჯახეობას ბავშვის დაბადებამდე ან ბავშვის ერთად აღზრდასა და რჩენას ან დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

მუხლი 17. მშობელთა ჩაწერა დაბადების ჩაწერის წიგნებში.

ქორწინებაში მყოფი დედა და მამა ბავშვის მშობლებად ჩაიწერებიან დაბადების ჩაწერის წიგნში ერთ-ერთი მათგანის განცხადებით.

თუ მშობლები ერთმანეთთან ქორწინებაში არ არიან, ჩაწერა ბავშვის დედის შესახებ წარმოებს დედის განცხადებით, ხოლო ჩაწერა ბავშვის მამის შესახებ — ბავშვის მამისა და დედის ერთობლივი განცხადებით, ან მამა ჩაიწერება სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად. დედის გარდაცვალების შემთხვევაში, აგრეთვე მაშინ, როცა შეუძლებელია მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენა, ჩაწერა ბავშვის მამის შესახებ წარმოებს მამის განცხადებით.

როცა ბავშვი შეეძინება დედას, რომელიც ქორწინებაში არ არის, თუ არ არის მშობელთა ერთობლივი განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილება მამობა დადგენის შესახებ, დაბადების ჩაწერის წიგნში ბავშვის მამის შესახებ ჩაწერა წარმოებს დედის გვარით; სახელი და მამის სახელი ბავშვს მამისა ჩაიწერება დედის მითითებით.

მუხლი 18. მშობლების უფლება-მოვალეობანი.

მამასა და დედას თანაბარი უფლება-მოვალეობანი აქვთ თავიანთი შვილების მიმართ.

მშობლებმა თავიანთი შვილები უნდა აღზარდონ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის სულისკვეთებით, იზრუნონ მათი ფიზიკური განვითარებისათვის, სწავლებისათვის და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის მოსამზადებლად.

მშობლები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები და შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ.

არასრულწლოვანი შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვა მათს მშობლებს ეკისრებათ.

მშობლებს უფლება აქვთ მოითხოვონ შვილების დაბრუნება ყოველი პირისაგან, რომელიც მავნებელ უკანონოდ ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე იტოვებს.

მშობლის უფლებანი არ შეიძლება განხორციელდეს შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ.

მშობლები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და თანაბარი მოვალეობანი აკისრიათ თავიანთი შვილების მიმართ იმ შემთხვევებშიც, როცა მათ შორის ქორწინება შეწყვეტილია. მშობლებს შორის შვილების საცხოვრებელი ადგილისა და აღზრდის საკითხების გამო დავის გადაწყვეტის წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 19. მშობლის უფლებათა ჩამორთმევა.

მშობლებს ან ერთ-ერთ მათგანს შეიძლება ჩამოერთვას მშობლის უფლებანი, თუ გამოირკვევა, რომ ისინი თავს არიდებენ თავიანთ მოვალეობებს შვილების აღზრდის საქმეში ან ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებებს, სასტიკად ეპყრობიან შვილებს, მავნე გავლენას ახდენენ შვილებზე თავიანთი ამორალური, ანტისაზოგადოებრივი ყოფაქცევით, აგრეთვე თუ მშობლები ქრონიკული ალკოჰოლიკები ან ნარკომანები არიან.

მშობლის უფლებების ჩამორთმევის საქმეები განიხილება სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბავშვის ერთ-ერთი მშობლის ან მეურვის (მზრუნველის) განცხადებით, აგრეთვე პროკურორის სარჩელით.

როცა ორივე მშობელს ჩამოერთმევა მშობლის უფლებანი, ბავშვი აღსაზრდელად გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს.

სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის ჩამორთმევისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის აღსაზრდელად მისი გადაცემის შესახებ მშობლის უფლებათა ჩამორთმევის მიუხედავად, თუ ბავშვის დატოვება იმ პირებთან, რომლებთანაც იგი არის, მისთვის საშიშია.

მშობლის უფლებათა აღდგენა დასაშვებია, თუ ამას მოითხოვს ბავშვის ინტერესები და თუ ბავშვი ნაშვილები არ არის.

მშობლის უფლებათა ჩამორთმევა ან მშობლის უფლებათა აღდგენა წყვეტს მხოლოდ სასამართლო წესით.

მშობლის უფლებათა ჩამორთმევა მშობლებს არ ათავისუფლებს შვილების რჩენის მოვალეობისაგან.

მუხლი 20. შვილების მოვალეობა მშობლების რჩენისათვის.

სრულწლოვანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, და იზრუნონ მათზე.

შვილები შეიძლება განთავისუფლდნენ თავიანთი მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას.

მუხლი 21. ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობანი.

არასრულწლოვანი ბავშვების რჩენის მოვალეობა, თუ მათ მშობლები არა ჰყავთ, შეიძლება დაეკისროს სხვა ნათესავებს — პაპას, ბებიას, ძმას, დას, აგრეთვე მამინაცვალს და დედინაცვალს.

ოჯახის შრომისუუნარო სრულწლოვანი წევრების რჩენის მოვალეობა, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, თუ მათ არა ჰყავთ მეუღლეები, მშობლები ან სრულწლოვანი შვილები, შეიძლება დაეკისროს შვილიშვილებს, აგრეთვე ვერძებს.

მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს ნათესავებისა და სხვა პირების ურთიერთრჩენის უფლებათა და მოვალეობათა წარმოშობის სხვა საფუძვლებიც.

მუხლი 22. ალიმენტის ოდენობა.

არასრულწლოვანი შვილების ალიმენტი მშობლებს გადახდებათ შემდეგი ოდენობით: ერთ ბავშვზე — მშობლების ხელფასის (შემოსავლის) ერთი მეოთხედი, -ორ ბავშვზე — ერთი მესამედი, სამ და მეტ ბავშვზე — ნახევარი.

ამ წილის ოდენობა შეიძლება შეამციროს სასამართლომ, თუ მშობელს, რომელიც მოვალეა იხდიდეს ალიმენტს, ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც ამ მუხლით დადგენილი ოდენობით ალიმენტის გადახდისას შეიძლება აღმოჩნდნენ მატერიალურად უფრო ნაკლებ უზრუნველყოფილნი, ვიდრე ის შვილები, რომლებიც ალიმენტს იღებენ, აგრეთვე იმ შემთხვევებში, თუ მშობელი რომელსაც ალიმენტს ახდევინებენ, პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდია ან თუ შვილები მუშაობენ და საკმარისი ხელფასი აქვთ.

სასამართლოს უფლება აქვს შეამციროს ალიმენტის ოდენობა ან ალიმენტის გადახდისაგან გაათავისუფლოს მშობლები, თუ შვილები სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სრულ კმაყოფაზე არიან. საბავშვო დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვების სარჩენი ხარჯები ამ დაწესებულებათა სასარგებლოდ შეიძლება გადახდეს ბავშვების მშობლებს ამ მუხლით დადგენილი ოდენობით.

ცალკეულ შემთხვევებში, როცა შეუძლებელი ან ძნელია მშობლების ხელფასიდან ალიმენტის წილობრივად გადახდევინება, მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ ალიმენტის ოდენობა მტკიცე ფულადი თანხით. ამ თანხის ოდენობა განისაზღვრება მშობლის სავარაუდო ხელფასიდან (შემოსავლიდან) შემოაღნიშნულ დებულებათა შესაბამისად.

მშობლებს, რომლებიც ალიმენტს უხდიან არასრულწლოვან ბავშვებს, შეიძლება დაეკისროთ მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობა, დასახიჩრება და სხვ.).

ხელფასის (შემოსავლის) სახეობანი, რომლებიც მხედველობაში მიიღება ალიმენტის დაკავების დროს, განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მშობლებისაგან ალიმენტის გადახდევინების დროს შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილებისათვის, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, აგრეთვე სარჩენი სახსრების გადახდევინებას ყველა დანარჩენ შემთხვევაში ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ მტკიცე ფულადი თანხით, ამასთან ითვალისწინებენ იმ პირის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობას, რომელსაც უნდა გადაახდევინონ ალიმენტი, და იმ პირისას, რომელიც ალიმენტს იღებს.

მუხლი 23. ალიმენტის გადახდის ან გადახდევინების წესი.

ალიმენტს ნებაყოფლობითი წესით ან პირადად იხდის ის პირი, რომელიც მოვალეა ალიმენტი იხადოს, ან ადმინისტრაციის მეშვეობით სამუშაო ადგილის თუ პენსიის, სტიპენდიის მიღების ადგილის მისეიდვით.

ალიმენტის გადახდის ნებაყოფლობითი წესი არ გამორიცხავს ალიმენტის მომლოდინე უფლებას ნებისმიერ დროს სასამართლოს სარჩელით მიმართოს ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ყოველთვიურად ხელფასიდან (პენსიიდან, დახმარებიდან, სტიპენდიიდან და სხვ.) ალიმენტს უკავებს ალიმენტის გადამხდელს მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე და გადაუხდის ან გადაუგზავნის განცხადებაში მოხსენებულ პირს.

მუხლი 24. შვილად აყვანა.

შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანთა და შვილებისა და მათი ინტერესებისათვის.

შვილად აყვანა ხდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით იმ პირის თხოვნის თანახმად, რომელსაც ბავშვის შვილად აყვანა სურს.

შვილად აყვანისათვის საჭიროა მშობელთა თანხმობა, რომლებსაც ჩამორთმეული არა აქვთ მშობლის უფლებანი, აგრეთვე შვილად ასაყვანის თანხმობა, თუ მისი ასაკი ათ წელს აღწევს. ბავშვის თანხმობის გამოვლინების წესს აღგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

თუ მშობლები თავს არიდებენ ბავშვის აღზრდაში მონაწილეობას, როგორც გამონაკლისი, შვილად აყვანა შეიძლება მოხდეს მშობლების თანხმობის მიუღებლად. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა აღგენს, თუ როგორია შვილად აყვანის წესი და რა პირობებში შეიძლება მოხდეს ეს მშობლების თანხმობის მიუღებლად.

დაქორწინებული პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის დროს, თუ ბავშვს ორივე მეუღლე არ იყვანს შვილად, საჭიროა მეუღლის თანხმობა შვილად აყვანაზე. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადგენს პირობებს, რომლეთა დროს, გამონაკლისი სახით, შვილად აყვანა შეიძლება მოხდეს მეორე მეუღლის თანხმობის მიუღებლად.

შვილად აყვანის ბათილობის ცნობა ანა შვილად აყვანის გაუქმება ხდება მხოლოდ სასამართლო წესით.

შვილად აყვანის წესებს, შვილად აყვანის ბათილობის ცნობის პირობებსა და შვილად აყვანის გაუქმების პირობებს, აგრეთვე გაუქმების შედეგებს აწესებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადგენს პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შვილად აყვანის საიდუმლოებას.

მუხლი 25. შვილად ამყვანთა, შვილად აყვანილთა და მათ ნათესავთა უფლება-მოვალეობანი.

შვილად აყვანილნი და მათი შთამომავლობა შვილად ამყვანთა და მათ ნათესავთა მიმართ, ხოლო შვილად ამყვანნი და მათი ნათესავები შვილად აყვანილთა და მათი შთამომავლობის მიმართ უთანასწორნარიან პირადი და ქონებრივი უფლებებით და მოვალეობებით შთამომავლობის ნათესავებს.

შვილად აყვანილნი ჯერგავენ პირადად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდებიან მოვალეობისაგან თავიანთი მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ ერთი პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის დროს ეს უფლებანი და მოვალეობანი შეიძლება დარჩეს დედის სურვილით, თუ შვილად ამყვანი მამაკაცია, ან მამის სურვილით, თუ შვილად ამყვანი ქალია. არასრულწლოვანები, რომლებსაც შვილად აყვანის მომენტისათვის აქვთ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის პენსია ან დახმარება, რაც მათ მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში ეკუთვნით, ამ უფლებას ინარჩუნებენ მათი შვილად აყვანის დროსაც.

შვილად ამყვანთა თხოვნით ისინი შეიძლება ჩაწერილ იქნან დაბადების ჩაწერის წიგნებში როგორც შვილად აყვანილთა მშობლები.

მუხლი 26. მეურვეობა და მზრუნველობა.

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისათვის, რომლებიც მშობლების სიკვდილის, მშობლებისათვის მშობლის უფლებების ჩამორთმევის, მშობელთა აჯადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო დარჩნენ მშობლის მზრუნველობის მოკლებული, აგრეთვე ამ ბავშვების პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვან პირთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებანი და შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი.

მეურვეობასა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია

საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს მოხსენება

თუ რაოდენ მრავალმხრივი და ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს სოციალისტური თანამეგობრობის მოძმე ქვეყნების ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, ამას მოწმობს ამ ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელების რეგულარული შეხვედრები. ამ შეხვედრების დროს განვიხილავთ ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, როგორიც არის სოციალისტურ სახელმწიფოთა ღონისძიებების კოორდინაცია სოციალიზმის პოზიციების განსამტკიცებლად და საერთაშორისო ასპარეზზე მათი საქმიანობის შესათანხმებლად.

სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობის განმტკიცებისა და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებისათვის უდიდეს მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები. ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სხვა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი. წარმოებს დელეგაციათა განუწყვეტელი გაცვლა სხვადასხვა ქვეყნებში.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელ ამ საქმიანობას ფართო სახალხო გაქანება მიეცა, რაც მოწმობს სოციალიზმისა და კომუნიზმის საერთო დიდ მიზნებს. საერთო ინტერესებს ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლაში.

მომქმე ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელები ყოველთვის არიან ჩვენი ხალხის სასურველი სტუმრები. ჩვენ დიდი სიხარულით მოვიღეთ დღეს მოსკოში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ამხანაგ იანოშ კადარის შეთაურობით. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ვიზიტი ახალ წელილს შეიტანს ორი მოძმე ქვეყნის, ორი მოძმე პარტიის ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებაში.

ალბანეთის ხელმძღვანელების ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტიტის პირველი ოფიციალური სხდომები, ორმხრივი მშიერი კონტაქტები გამოხატავენ შესაბამის საკითხებზე აზრთა ამხანაგური ურთიერთგაზიარების მოთხოვნილებას. ბუნებრივია, რომ ასეთი თათბირები და შეხვედრები ყოველივის ფარგლებში მნიშვნელობის კოლექტიურ აქციებად გადაიქცევა ხოლმე.

მოძმე სოციალისტური ქვეყნების შეხვედრების ერთ-ერთი დადასტურებაა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებანი. ოთხასმეოცდა წლებში საბჭოთა კავშირმა ასეთი ხელშეკრულებანი დადო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, პოლონეთთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან და მონღოლეთთან, ალბანეთთან ჩეხოსლოვაკიასთან მეგობრობის ხელშეკრულებს ადგა. დამთავრდა მეუღლეობა რუმინეთთან ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მოსაზადებლად, და ეს ხელშეკრულება პარაფირებულია.

მოძმე ქვეყნებთან დადებული ეს ხელშეკრულებანი ეარშიდის ხელშეკრულების ორგანიზაციის, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში მრავალმხრივი თანამშრომლობის შეხამებით კარგად ემსახურებიან სოციალიზმისა და მშვიდობის ინტერესებს.

ბანგუი-ბრაზავილის ორგანიზაციული და კულტურული ურთიერთობა ბრაზავილის ინსტიტუტ და მუშათა მოძრაობაში მისი პროფესიონალური ანტიკოლონიური ხაზის ღრმა და პრინციპული შეფასება მოცემულია პარტიის ყრილობებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში. მოკლედ შეეხები საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის მდგომარეობას.

პირდაპირ ვთქვათ, ეს ურთიერთობა მეტად შორს არის იმისაგან, როგორიც შეიძლება და უნდა იყოს ურთიერთობა ორ სოციალისტურ ქვეყანას შორის და მეზობლებს შორისაც კი. ჩვენი მხრივ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა სახელმწიფო ურთიერთობა ჩინეთთან არ უარესდებოდეს. მიმდინარე წელს საბჭოთა მთავრობამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 149.

„კომუნისტი“
მე-8 გვერდი, შაბათი,
29 ივნისი, 1968 წ.

დეპუტაპ ი. ნ. ვეკუას სიტყვა

(ცხაკაიას საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ).

ამხანაგო დეპუტატებო! თავის საფუძვლიან მოხსენებაში დეპუტატმა გრომიკომ დაახასიათა თანამედროვე, ფრიად რთული საერთაშორისო მდგომარეობა. საბჭოთა მთავრობა, ახორციელებს რა თანმიმდევრულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ განამტკიცოს სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა და შეანელოს საერთაშორისო დაძაბულობა. მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკა, რომელსაც ხავსებით უჭერენ მხარს არა მარტო საბჭოთა ხალხი, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოსახლეობის ფართო ფენებიც, იმპერიალისტური წრეების გაფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება. იმპერიალისტები არაფერს არ ერიდებიან და ცდილობენ შეარყიონ სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა, ამ მიზნით მიმართავენ სულ სხვადასხვანაირ საშუალებებს. ისინი ცდილობენ აგრეთვე დამოუკიდებლობისა და თავისთავადი განვითარების გზაზე დამდგარ ხალხებს ხელი შეუშალონ მართვა-გამგეობის ნამდვილად დემოკრატიული ფორმის არჩევაში.

ამერიკელი იმპერიალისტები უკვე მერვე წელია სამარცხვინო და ხასტიკ ომს აწარმოებენ თავისუფლებისმოყვარე და შემაცი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების საზოგადოებრივობის ფართო ფენები მეტაცედ გამოდიან ამ ომის წინააღმდეგ, აგრეთვე იმპერიალისტთა იმ მრავალი ცდის წინააღმდეგ, რომ ჩაერიონ სხვა ხალხების საშინაო საქმეებში. ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები ულმობლად უსწორდებიან ყველას, ვინც გაბედავს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესიის, რასობრივი დისკრიმინაციისა და სოციალური ჩაგვრის პოლიტიკას.

პროვოკაციები კუბისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, აგრესია ახლო აღმოსავლეთში, ფაშისტური პუტჩი საბერძნეთში, რეაქციული გადატრიალებანი აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში — ეს იმპერიალიზმის იმ ცდების ერთი ჯაჭვის სხვადასხვა რგოლია, რომ შეცვალონ ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში თავიანთ სასარგებლოდ. ზოგჯერ ეს ცდები დროებითი წარმატებით მთავრდება, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ისინი განწირულია ჩასაფუშავად. იმპერიალისტები ვერ შეცვლიან მსოფლიო სოციალური განვითარების გენერალურ მსვლელობას, რაც მარქსის, ენგელსისა და ლენინის წინასწარმეტყველებათა შესაბამისად მიმდინარეობს.

მსოფლიოს ხალხებს დიდ საფრთხეს უქმნის დასავლეთი გერმანია. ამ ქვეყანაში კვლავ აღორძინდა და საშიშად გაძლიერდა გერმანიის მილიტარიზმი. იქ კვლავ თავისუფლად გრძნობენ თავს გადარჩენილი ფაშისტები და მათი ახალი მიმდევრები. სარგებლობს რა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა ქვეყნების მხარდაჭერით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა თითქმის ოფიციალურად აცხადებს, რომ უარს ამბობს პოტსდამის შეთანხმების შესრულებაზე. იგი ცინიკურად არ ცნობს მეორე სუვერენული გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას. იგი პატივს არ სცემს დასავლეთ ბერლინის განსაკუთრებულ სტატუსს და პრეტენზიებს აცხადებს მიწებზე, რომლებიც ოდესღაც დაუპყრია ჰიტლერს.

ბონის უკანასკნელ სტატისტიკურ ცნობარში გერმანია წარმოდგენილია 1937 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული საზღვრებით. მიწები, რომლებიც პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას ეკუთვნოდა, ამ ცნობარში აღნიშნულია როგორც „დროებით უცხოეთის გამგებლობაში მოქცეული მიწები“. ამ გულახდილ რევანშისტულ დოკუმენტს ფართო პროპაგანდას უწევენ ბონის მმართველები. თავის ამასწინანდელ მთავრობის განცხადებაში ფედერალურმა კანცლერმა კიზინგერმა თავს ნება მისცა რაღაც „გაფრთხილებაც“ კი გამოეთქვა საბჭოთა კავშირის მიმართ. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ბონის მმართველებმა დაკარგეს რეალობის გრძნობა და რომ ფრიად საშიშად ეთამაშებიან ცეცხლს, რაც უწინარეს ყოვლისა მათთვის არის სახიფათო.

იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის საიმედო დასაყრდენია სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მძლავრი კავშირი. მილიონობით ადამიანისათვის გასაგებია, რომ ჩვენი ბანაკის შეკავშირებასა და სამხედრო-ეკონომიურ პოტენციალზე დამოკიდებულია ხალხთა უშიშროება და მათი მისწრაფების განხორციელება. ისინი ობიექტურად დაინტერესებული არიან სოციალიზმის ქვეყნების კავშირის შემდგომი განვითარებითა და განმტკიცებით, რადგან ესმით, რომ მხოლოდ ეს უზარმაზარ ქვეყნებს პროგრესის ძალების უპირატესობას რეაქციის ძალების მიმართ მსოფლიო ასპარეზზე.

მსოფლიო სოციალისტური ხანა

„ქომუნისტი“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მუდმივ კომისიებში

დადგენილებაში „სსრ კავშირის მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის მდგომარეობისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების, ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელმა სესიამ მიიღო, პალატების მუდმივ კომისიებს დაევალათ დაამთავრონ მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველთა პროექტზე.

28 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიების და საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების გაერთიანებული სხდომა. სხდომამ მოისმინა მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ნ. ნ. ბლოხინის ინფორმაცია კანონმდებლობის საფუძველთა პროექტის შემუშავების შესახებ.

ამ პროექტში აისახა მოქმედი საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის ნორმები. ფორმირებულია მთელი რიგი ახალი დებულებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ჯანმრთელობის დაცვის დარგში სკკპ პროგრამის მოთხოვნებიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი გადაწყვეტილებებიდან ამ საკითხზე.

კომისიებმა ძირითადად მოიწონეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველთა პროექტი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ და შესთავაზეს მოსამზადებელ კომისიას, ერთობლივ სხდომაზე, ეტაპობრივ, ერთ-ერთ ეტაპად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს, ეს ჩვენი უფლებაა, როდესაც საბჭოთა კავშირი დიდი სახელმწიფოა.

ყოველი მწავავე სიტუაციის შექმნის დროს, რაც უნდა შორს იყოს იგი ჩვენი ქვეყნიდან, მსოფლიოს ყველა დედაქალაქში მოუღიან საბჭოთა კავშირის რეკომენდაციებს.

სოციალისტური თანამეგობრობის, მისი შეკავშირების ინტერესები საბჭოთა კავშირს მიაჩნია და კვლავაც მიიჩნევს თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად, თავის მაღალ ინტერნაციონალურ მოვალეობად.

მშვიდობის არც ერთი დამრღვევი არ მოტყუვდები, თუ წინასწარ ეცოდინება, რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის იმათ რიგებშია, ვინც საკადრის პასუხს აძლევს აგრესიის პოლიტიკას.

და, პირიქით-საბჭოთა საგარეო პოლიტიკას ეყრდნობა და კვლავაც შეიძლება დაეყრდნოს ხალხთა ყოველი განმათავისუფლებელი აქცია, ყოველი წამოწყება საერთაშორისო საქმეებში, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს.

ჩვენს საგარეო პოლიტიკას ახასიათებს და კვლავაც დაახასიათებს ის, რომ მტკიცედ იცავს საბჭოთა ხალხის სახელმწიფო ინტერესებს, უზრუნველყოფს ჩვენი სახმელეთო საზღვრების, ნაპირების, საჰაერო სივრცის ხელშეუხებლობას, იცავს საბჭოთა ალმის ღირსებას, საბჭოთა მოქალაქეების უფლებებსა და უშიშროებას.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის ასეთივე ორგანული საფუძველია საბოკავშირეო მოგალეობისა და ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების ერთგულად შესრულება.

თანასწორი უფლებები საერთაშორისო ასპარეზის ყველა უბანზე და საქმიანობის ყველა სფეროში, მათ შორის საბჭოთა კავშირის, მისი მოკავშირეებისა და მეგობრების საარსებო ინტერესების დაცვის ღონისძიებათა განხორციელება; არავითარი დისკრიმინაცია მსოფლიო ვაჭრობაში; მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა, კულტურულ ღირებულებათა გაცვლის ფართო შესაძლებლობანი; გემებისა და ფლოტების ზღვაოსნობის თავისუფლება, არანაკლები, ვიდრე ყოველი სხვა სახელმწიფოს გემებისა და ფლოტებისათვის, — ყოველივე ეს განსაზღვრავს ჩვენს შესაძლებლობებსა და პასუხისმგებლობას მსოფლიო საქმეებში.

იმ საერთაშორისო პრობლემათა გადასაჭრელად, რომლებზეც დოკუმენტებია ხალხთა მშვიდობიანი მომავალი, ჩვენ მზად ვართ მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას ყველასთან, ვინც ამას ესწრაფვის.

საბჭოთა კავშირი მზად არის სხვა სახელმწიფოებთან ერთად კვლავაც ეძიოს მსგავსი ინტერესებისა და შესაძლო თანხმობის სფეროები, შესაბამისი — ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებანი და შეთანხმებანიც კი დადოს, თუ ისინი შეესაბამებიან მშვიდობის ინტერესებს და თუ მათ საფუძვლად უდევს ხალხთა უფლებების პატივისცემა.

ჩვენ ყოველთვის აქტიურად გამოვეხმაურებთ ყველას, ვისაც სურს მშვიდობისა და კეთილმეზობლობის, ინტერესთა ურთიერთპატივისცემის საფუძველზე ადაოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

საბჭოთა ადამიანები უკვე მესამე ათწლეულია ცხოვრობენ მშვიდობის პირობებში. ეს არის დიდი მონაპოვარი ლენინური საგარეო პოლიტიკისა, რომელიც ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით. ეს არის ჩვენი სამშობლოს ძლიერების განუხრელი ზრდის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში საბჭოთა კავშირის მიღწევების შედეგი. საბჭოთა ხალხი, რომელიც წარმატებით ახორციელებს სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, როგორც საშინაო საქმეებში, ისე საგარეო საქმეთა დარგში, მშვიდად, გულდაჯერებით უყურებს მომავალს! (ხანგრძლივი ტაში).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მუდმივ კომისიებში

ალბანეთი. ალბანეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, წარმატებებს ერთ უბანზე შეიძლება თან ახლდეს დროებითი წარუმატებლობანი სხვა უბანზე. საბჭოთა კავშირზე, მის ინტერნაციონალისტურ საგარეო პოლიტიკაზე, მის დახმარებაზე დაყრდნობის შესაძლებლობას ბევრი ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. რამდენჯერ ყოფილა, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მიმართ საბჭოთა კავშირს გაფრთხილება დაბმარებია ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოებს დაეცვათ თავიანთი დამოუკიდებლობა გარეშენა ზეგავლენისა და ხელყოფისაგან.

ჩვენი ქვეყანა ყოველთვის მტკიცედ უჭერდა და უჭერს მხარს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მოძრაობებს. იგი ყოველთვის აქტიური ძალა იყო კოლონიური ჩაგვრის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირი არ მორიდებია დასავლეთის დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობის გართულებას ეროვნული განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმის დასაცავად. ასე შეიძლება მოიქცეს მხოლოდ ის სოციალისტური სახელმწიფო, რომლისთვისაც ამ საქმის ინტერესები განუყოფელია მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისაგან.

საბჭოთა მთავრობა თავის საგარეოპოლიტიკურ საქმიანობაში ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ურთიერთობას მეუმხრობელ სახელმწიფოებთან, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნის ნახევარზე მეტს შეადგენენ. ამ სახელმწიფოებმა, თუ ვილაპარაკებთ მთლიანად მათი საგარეო პოლიტიკის მიმართულებაზე მეტნაკლებ განსხვავებათა მიუხედავად, საერთაშორისო ცხოვრების ძირეულ საკითხებში ცხადყვეს მშვიდობის საქმისადმი ერთგულება. ისინი გმობენ ჩარევას სხვა ქვეყნებისა და ხალხების საშინაო საქმეებში, გმობენ დიქტატის პოლიტიკას, რომლის მახვილი უწინარეს ყოვლისა მიმართულია სამხედრო და ეკონომიური თვალსაზრისით სუსტ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

ჩვენ ვიცით, რომ არის სხვა სიძნელეებიც, რომლებსაც აწყდება ბევრი მიუმხრობელი ქვეყანა, სიძნელეები, რომლებიც წარმოშვა კოლონიური ჩაგვრის ხანგრძლივმა პერიოდმა. და საბჭოთა კავშირიც თავისი ძალებისა და შესაძლებლობების მიხედვით ხელს უწყობს ბევრ მათგანს ამ სიძნელეთა დაძლევის საქმეში.

მეუმხრობელი სახელმწიფოები საერთოდ დიდი ძალაა საერთაშორისო ასპარეზზე, ძალა, რომელთანაც ჩვენ წარმატებით ვთანამშრომლობთ. საბჭოთა კავშირი კვლავაც მტკიცედ გაატარებს მეუმხრობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაფართოებისა და გაუმჯობესების კურსს, რომლებიც მშვიდობისათვის ბრძოლაში თავის მოკავშირეებად მიაჩნია.

წარმატებით ვითარდება ჩვენი ურთიერთობა აზია-აფრიკის მეტწილ სახელმწიფოებთან.

წლითიწლობით მტკიცდება მჭიდრო თანამშრომლობა ისეთ დიდ სახელმწიფოებთან, როგორიც არიან ინდოეთი, პაკისტანი, აგრეთვე ბირმა.

საბჭოთა კავშირს კარგი ურთიერთობა აქვს კამბოჯასთან, ლაოსთან, ცეილონთან, ნეპალთან და აზიის მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებთან.

კიდევ უფრო მდიდარი შინაარსი და გაქანება მიეცა ამ ბოლო დროს ჩვენი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობას არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან, ალჟირთან, სირიასთან და სხვა არაბულ სახელმწიფოებთან.

ამ დღეებში საბჭოთა კავშირში ჩამოღის არაბთა გაერთიანებული

№ 150

საბჭოთა კავშირ-ჩადის ერთობლივი კომუნიკე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 17-25 ივნისს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ჩადის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფრანსუა ტომბალბაი.

ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ საბჭოთა კავშირ-ჩადის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირში პრეზიდენტსა და მის თანმხლებ მოღვაწეებს გულთბილი სტუმართმოყვარეობით შეხვდნენ, რაც გამოხატავს ჩადის რესპუბლიკის ხალხისადმი საბჭოთა ხალხის მეგობრულ გრძნობებსა და სიმპათიებს.

ჩადის რესპუბლიკის პრეზიდენტის სსრ კავშირში ყოფნის დროს, ნათქვამია მიღებულ დოკუმენტში, გაიმართა საბჭოთა კავშირ-ჩადის მოლაპარაკება.

საუბრებისა და მოლაპარაკების დროს, რაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-ჩადის ურთიერთობის შედგომარეობასა და მისი შემდგომში განვითარების პერსპექტივებზე, აგრეთვე უველაზე დიდმნიშვნელოვან აფრიკის და საერთაშორისო პრობლემებზე. მხარეებმა აღნიშნეს, რომ მეტ წილ პრობლემებზე მათი თვალსაზრისი ერთმანეთს ემთხვევა.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ საუბრების დროს მხარეებმა დაწვრილებით გაუზიარეს ერთმანეთს აზრები აფრიკის მდგომარეობის შესახებ და ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს ბრძოლა კოლონიური ჩაგვრისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის სრულად და უსწრაფესად განხორციელებისათვის. მათ განაცხადეს, რომ კელავაც აქტიურად დაუჭერენ მხარს აფრიკის ხალხების სამართლიან ბრძოლას კოლონიური და რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ.

მხარეებმა განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს აფრიკის ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომ განმტკიცებას კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან დაკავშირებით მათ ხაზი გაუსვეს აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვან როლს თავისუფლებისმოყვარე აფრიკელი ხალხების შეკავშირებისა და ამ ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარების საქმეში.

მხარეებმა შეაჯამეს სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირისა და ჩადის რესპუბლიკის თანამშრომლობის შედეგები და აღნიშნეს, რომ არის საბჭოთა კავშირ-ჩადის პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიური, კულტურული და სხვა ურთიერთობის შემდგომი განვითარების ხელშემწყობი პირობები.

დასასრულ მათ ხაზი გაუსვეს, რომ ჩადის რესპუბლიკის პრეზიდენტის ფრანსუა ტომბალბაის ახლანდელი ვიზიტი საბჭოთა კავშირში დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და ჩადის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას.

პრეზიდენტმა ფ. ტომბალბაიმ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი ოფიციალური ვიზიტით მიიწვია ჩადის რესპუბლიკაში. ამ მიწვევას ნ. ვ. პოდგორნი მადლობით დაეთანხმა. (საკდესი).

მსოფლიოს დეპეშათა საგენტოები იუწყებიან

თავისუფლება ინდონეზიის პატრიოტებს!

საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც მტკიცედ მოითხოვა შეწყვიტონ რეპრესიები და თვითნებობა, გაათავისუფლონ პოლიტიკური პატიმრები.

განცხადებაში ნათქვამია, რომ უკვე ორ წელზე მეტია 150 ათასამდე ინდონეზიელი მოქალაქე დემოკრატიულ ორგანიზაციათა წევრები —გაუსამართლებლად და გამოუძიებლად იტანჯებიან ინდონეზიის საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. ამ მოქალაქეთა ერთადერთი დანაშაული ის არის, რომ პროგრესული შეხედულებებისა არიან, მოითხოვენ თავიანთი ქვეყნის განვითარებას დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის გზით.

საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტმა მხურვალედ დაუჭირა მხარი ინდონეზიის დემოკრატიულ ძალებს, ყველა ინდონეზიელ პატრიოტს და მოუწოდა აზიისა და აფრიკის ხალხებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია რეჟიმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საქმე, დაიცვან ამხანაგები და ძმები, რომლებიც ინდონეზიის საპყრობილეებში იტანჯებიან.

მხოლოდ ფაქტები

△ ჰანოი, 28 ივნისი. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის დამატებითი მონაცემებით, 25 და 26 ივნისს პატნის პროვინციაში ჩამოაგდეს ორი ამერიკული თვითმფრინავი, 27 ივნისს კი ვიეტნამის საჰაერო ძალამ ჩამოაგდო ერთი ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავი ჰაბაკის პროვინციაში.

ამრიგად, სულ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოგდებულია 3.003 ამერიკული თვითმფრინავი.

△ კაირო. (საკდესი). ადგილობრივი გაზეთი „ალ აჰბარი“ წერს, თუ რა მხეცურად გაუსწორდნენ როდეზიელი რასისტები აფრიკელ პატრიოტებს. გაზეთი იმოწმებს როდეზიიდან მიღებულ ცნობას და წერს, რომ ერთ-ერთი დამხჭელი ოპერაციის დროს რასისტებმა ტყვედ ჩაიგდეს რამდენიმე თავისუფლებისათვის მებრძოლი აფრიკელი. ტყვეები მოათავსეს სანადირო ბადეში, რომელიც გამოაბეს ვერტმფრინავს. აიყვანეს რა ვერტმფრინავი დიდ სიმაღლეზე, რასისტებმა ძირს ჩამოყარეს ტყვეები.

△ პარიზი. (საკდესი). პარიზის კლინიის გარეუბანში ფაშისტი არამზადების ბანდა თავს დაესხა რკინიგზელთა ჯგუფს, პროვოკატორებმა ჩხუბი ატეხეს და სროლა დაუწყეს რკინიგზელებს. დაჭრილია შვიდი კაცი.

მშრომელებმა დაუყოვნებლივ უპასუხეს ამ პროვოკაციას. პროფკავშირთა მოწოდებით სრულიად შეწყდა მოძრაობა რკინიგზის სენ-ლაზარის ვოგზალში და ინვალიდთა ვოგზალში. სენ-ლაზარის ვოგზლის შენობაში გაიმართა საპროტესტო მიტინგი პროვოკატორთა მოქმედების წინააღმდეგ.

საერთაშორისო ცხოვრება

ამერიკის აგრესიული პოზიცია

პარიზი, საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი გვატყობინებს:

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მეათე ოფიციალურ საუბარს, რომელიც 26 ივნისს გაიმართა, წინა ცხრა საუბარზე მეტი კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია.

□ □

ამერიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა საირუს ვენსმა, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურის პოსტზე შეცვალა ავერელ ჰარიმანი, რომელიც რამდენიმე დღით ვაშინგტონში წავიდა, — გაიმეორა ცნობილი ფორმულა, რომლის თანახმად ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა „შესაფერ მომენტსა და შესაფერ ვითარებაში“, და ამავე დროს უარყოფდა, რომ პარიზის ახლანდელმა საუბრებმა უკვე შექმნეს შესაფერისი მომენტიც და შესაფერისი ვითარებაც ასეთი ღონისძიებისათვის.

ამავე დროს, პრესის წარმომადგენელთა შეკითხვებზე ს. ვენსმა მრავლისმეტყველად განაცხადა უარი გაეშუქებინა ორი დელეგაციის წარმომადგენელთა არაოფიციალური აზრთა გაზიარება შესვენებების დროს, რომლებსაც აცხადებენ ოფიციალური საუბრების მსვლელობაში.

ვიეტნამის დელეგაციის წრეებში უკვე აღუნიშნავთ, რომ შესვენებების დროს აზრთა გაზიარებას არა აქვს რაიმე დამოკიდებულება ოფიციალური საუბრების თემებთან და არ უნდა მივიჩნიოთ თითქოს ეს იყოს თავისებური „მოლაპარაკება წინასწარ მომზადებული განცხადებების გაუცვლელად“.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ გაავრცელა განცხადება, რომელიც დღევანდელი ოფიციალური საუბრის დროს გააკეთა მინისტრმა სუან თხიუმმ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ „პარიზის საუბრებმა დღემდე წინ ვერ წაიწია შეერთებული შტატების აგრესიული პოზიციის გამო“. „საჭიროდ მიმაჩნია ხაზი გავუსვა,—დასძინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა, — რომ ამ საუბრების წარმატებით განვითარებისა და ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის საჭიროა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უწინარეს ყოვლისა დაუყოვნებლივ და უშენიშვნოდ შეწყვიტოს დაბომბვა და ყველა სხვა საომარი აქტი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რათა შემდეგ შესაძლებელი გახდეს ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხთა განხილვა“.

მეათე ოფიციალურ საუბრის დროს სუან თხიუმმ დაწვრილებით ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არღვევენ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა ფორმასა და შინაარსს. ამასთან მან ხაზი გაუსვა, რომ შეერთებულმა შტატებმა დაამახინჯა ვიეტნამის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა ძირითადი შინაარსი, რათა გამოიყენოს ისინი აგრესიული მანევრებისათვის“.

„ამერიკის შეერთებული შტატები აცხადებს, რომ ვიეტნამის პოლიტიკური მომავლის განსაზღვრა შეუძლია მხოლოდ თვით ვიეტნამელ ხალხს, ხოლო ხალხი მხოლოდ მშვიდობის პირობებში შეძლებს თავისი ნება-სურვილის თავისუფლად გამოხატვას. მაგრამ ამავე დროს სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაუწიეს საბოტაჟი იმ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებსაც შესაძლებელი უნდა გაეხადა ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანება დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის საფუძველზე; შეერთებულმა შტატებმა შეიყვანა სამხრეთ ვიეტნამში თავისი ჯარები აშკარად აგრესიული ზრახვებით, მან გააჩაღა გამანადგურებელი ომი ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ“.

სუან თხიუმ მოიყვანა სტატისტიკური მონაცემები, „ჯერჯერობით არასრული“, რომელთა შესაბამისად ამ ბოლო ათ წელიწადში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მსახურებმა სამხრეთ ვიეტნამში დახოცეს 170 ათასზე მეტი კაცი, დაჭრეს, აწამეს და დაანგალიდეს კიდევ 800 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის 150 ათასზე მეტი ქალი და ბავშვი. ათასობით საპყრობილეში ჩაყარეს ნახევარ მილიონზე მეტი კაცი, რომ არაფერი ვთქვათ იმ 3 მილიონ ადამიანზე, რომლებიც გაგზავნეს 8.000 საპყრობილეში, რომლებსაც „სტრატეგიულ დასახლებებს“ უწოდებენ.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ამხელა საიგონის მარიონეტული ადმინისტრაცია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები იარაღად იყენებს სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის დასამორჩილებლად, აგრესიული ომის საწარმოებლად და ჟენევის შეთანხმებათა საბოტაჟისათვის. ამასთან მან მოიყვანა ფაქტები, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყოველნაირად უშლის ხელს საყოველთაო არჩევნებს, რომელიც 1956 წლის ივლისში უნდა გამართულიყო და, რომელსაც უნდა მოპყოლოდა ვიეტნამის გაერთიანება, ეგრეთწოდებული „რეფერენდუმის“ ნიღბით ქმნის სეპარატულ სამხრეთ ვიეტნამის „სახელმწიფოს“.

სუან თხიუი დაწვრილებით შეეხო სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის — სამხრეთვიეტნამელი ხალხის ნამდვილი წარმომადგენლის როლსა და მნიშვნელობას. მან თქვა, რომ ფრონტი აერთიანებს ორმოცზე მეტ პატრიოტულ ორგანიზაციას, მას მხარს უჭერენ მოსახლეობის ყველა ფენა, ყველა პოლიტიკური პარტია, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულების ადამიანები.

განთავისუფლების ეროვნულმა ფრონტმა მოაწყო სამხრეთვიეტნამელი ხალხის ძლევამოსილი წინააღმდეგობა, გაათავისუფლა ამ ქვეყნის ტერიტორიისა და მოსახლეობის დიდი ნაწილი, გლეხებს გაუნაწილა ორ მილიონზე მეტი ჰექტარი მიწა, გადაიქცა დემოკრატიულ ადმინისტრაციად, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას, მისი ცხოვრების დონის ამაღლებას, ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას.

ფრონტის ოფიციალური წარმომადგენლობანი აკრედიტებულია დაახლოებით ოც ქვეყანაში, ფრონტს წარმომადგენლები ჰყავს ბევრ საერთაშორისო დემოკრატიულ ორგანიზაციაში, მას დელეგატები გაუგზავნია 70-ზე მეტ საერთაშორისო და ეროვნულ კონფერენციაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მისი წარმომადგენლები 80-ზე მეტჯერ ყოფილან აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ევროპის ბევრ ქვეყანაში.

„რომ მოვაგვაროთ ვიეტნამის პრობლემა ჟენევის შეთანხმებათა შესაბამისად, — თქვა დასასრულს სუან თხიუმ, — საჭიროა ამ შეთანხმებათა არა ფასლიფიკაცია ამერიკის აგრესიის ლეგალიზაციის მიზნით, არამედ საჭიროა ჟენევნელ ჟენევის შეთანხმებათა ძირითად პრინციპებსა და მთავარ დებულებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოთხ პუნქტში. და უწინარეს ყოვლისა შეერთებულმა შტატებმა უპირობოდ უნდა შეწყვიტოს დაბომბვა და ომის ყველა სხვა აქტი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ“.

„სულ ამ ცოტა ხნის წინათ, — დასძინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა, — ვიცე-პრეზიდენტმა ჰუმფრიმ და მთელმა რიგმა სხვა მოღვაწეებმა წამოაყენეს დაბავების იდეა. ამით ამერიკის მხარე ცდილობს ერთმანეთს გაუთანაბროს აგრესორი და ის, ვინც აგრესიის წინააღმდეგ იბრძვის, ცდილობს ჩაუნერგოს ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრიობას, თითქოს „ეკვილ ნებას ირნდეს“. სიმართლე ის არის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ამით სურდა თავიდან აიცილებინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვისა და მთელი მისი ტერიტორიის წინააღმდეგ ყველა სხვა სამხარი აქტის უპირობოდ შეწყვეტა“.

შემდეგი საუბარი გაიმართება ერთი კვირის შემდეგ.

ლეიბორისტები დაპარცხდნენ

ლონდონი, 28 ივნისი. (საკდესი). ლეიბორისტული პარტია დამარცხდა ნელსონისა და კოლნის ოლქში პარლამენტის დამატებითს არჩევნებში, რომელიც გუშინ გაიმართა. 3.522 ხმის უმრავლესობით გაიმარჯვა კონსერვატიული პარტიის კანდიდატმა დ. უედინგტონმა.

1935 წლიდან მოყოლებული ამ ოლქის წარმომადგენელი პარლამენტში უცვლელად იყო ლეიბორისტი დეპუტატი ს. სილვერმენი, რომელიც მიმდინარე წლის დამდეგს გარდაიცვალა.

სულ 1966 წელს გამართული პარლამენტის უკანასკნელი არჩევნების შემდეგ ლეიბორისტებმა სხვადასხვა დამატებითს არჩევნებში დაკარგეს 11 ადგილი. ეს მოწმობს, რომ ინგლისელი ამომრჩეველნი დიდად უკმაყოფილო და იმედგაცრუებული არიან ლეიბორისტული მთავრობით.

დიდი ინტერესი

ბერლინი, 28 ივნისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხგადამდებრობა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მუშაობას.

პრესა ფართოდ აშუქებდა უმაღლესი საბჭოს მიერ საბჭოთა კავშირში ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარების საკითხების განხილვას, აგრეთვე ახალ კანონმდებლობებს ქორწინებისა და ოჯახის შესახებ. „ნოიეს დოიჩლანდი“, „ბერლინერ �ტუნგი“ და სხვა გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სესიამ მიიღო საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აქ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. გრომიკოს მოხსენებას „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და საგარეო პოლიტიკის შესახებ. საგარეო პოლიტიკა“, რომელიც მან სესიაზე გააკეთა. ადნის საგენტომ გერმანულ ენაზე გადასცა ამ მოხსენების დაწვრილებითი შინაარსი, ა. ა. გრომიკოს მოხსენება ავრეთვე რადიოსა და სატელევიზიო გადაცემების ყურადღების ცენტრშია.

ბელგრადი, 28 ივნისი. (საკდესი). ტანიუგის საგენტომ იუოსლავიის გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს გადასცა შინაარსი ა. ა. გრომიკოს მოხსენებისა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ. საბჭოთა მთავრობამ, ხაზგასმით აღნიშნავს ტანიუგი, მოუწოდა დასავლეთის სახელმწიფოებს, რომლებსაც აქვთ ატომური იარაღი, მოუხდენენ მოლაპარაკების მაგიდას და განიხილონ საკითხი საერთაშორისო კონვენციის შესახებ, რომელიც კრძალავს ატომური იარაღის გამოყენებას. ცნობაში მოყვანილია ადგილი მოხსენებიდან, სადაც ნათქვამია, რომ გერმანიის საზღვრების საკითხი გადაჭრა მეორე მსოფლიო ომმა, გადაჭრა საბოლოოდ და რომ ევროპის სოციალისტურ სახელმწიფოთა საზღვრის, მათ შორის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრების, სადარაჯოზე დგას ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მთელი ძალა.

კბერნეტიმ შიმშილობა გამოაცხადა

ვაშინგტონი, 28 ივნისი. (საკდესი). ვაშინგტონისაკენ ღარიბთა ლაშქრობის ხელმძღვანელმა მდგდელმა რალფ აბერნეტიმ შიმშილობა გამოაცხადა მთელი პატიმრობის პერიოდში.

25 ივნისს აბერნეტის 20 დღის პატიმრობა მიესაჯა იმისათვის, რომ მეთაურობდა დემონსტრანტთა კოლონას, რომლებიც კონგრესის შენობასთან მივიდნენ, რათა პროტესტი განეცხადებინათ იმის წინააღმდეგ, რომ კანონმდებელნი უსულგულოდ ეკიდებიან მილიონობით გაჭირვებული ამერიკელის საჭიროებებს.

საზეიმო კრება პრაღაში

პრაღა, 28 ივნისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსების 90 წლისთავისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის გაერთიანების 20 წლისთავის გამო გუშინ აქ გაიმართა საზეიმო კრება. კრებაში მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. დუბჩეკი, რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა.

შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. დუბჩეკმა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტია, თქვა მან, ერთიანი და ერთადერთი მარქსისტული პარტიაა ჩეხოსლოვაკიაში. ეს ფაქტი გვაფალებს, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტია მოქმედებდეს როგორც მუშათა კლასისა და ყველა მშრომელს ორგანიზაციულად, პროგრამულად და იდეურად მძლავრი და ერთიანი პარტია, რომელსაც აქვს მარქსისტული პროგრამა. როგორც ერთიანი მარქსისტული პარტია ჩეხოსლოვაკიის კომპარტია დღეს წარსულის სოციალისტური მუშათა მოძრაობის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე და განმგრძობია, განაცხადა მან.

ჩვენ, თქვა ა. დუბჩეკმა, ახლა ორივე პარტიის გაერთიანება 1948 წელს მიგვაჩნია იმ რევოლუციური პროცესის შეუცვლელ შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა ჩეხოსლოვაკიაში იმ დროს. წარსულში მუშათა მოძრაობის ისტორიაში არასოდეს არ ყოფილა ისეთი ხელშემწყობი პირობები მისი ერთობისათვის, როგორიც არის ახლა, როცა ჩეხოსლოვაკიის საზოგადოების სათავეში დგას ერთიანნ მარქსისტული პარტია, რომლის ძალა ის იქნება, რომ იგი შეძლებს დაეყრდნოს მუშათა კლასის ერთობასა და ყველა მშრომელის ნდობას, განავითარებს მეცნიერული კომუნიზმის დიად რევოლუციურ მემკვიდრეობას. უზრუნველყოფს მტკიცე კავშირს საბჭოთა კავშირთან და ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან,

ჩვენი საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი გულნატკენია ჩვენი 20 წლის განვითარების შედეგების უსაფუძვლო დამცირების გამო. იერიშები პარტიაზე საერთოდ და მისწრაფება შეიქმნას მის მიმართ ოპოზიციური ძალები, ამჟამად მიგვაჩნია ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებად სოციალისტური დემოკრატიისა და ადამიანთა საზოგადოების შემდგომ განვითარებაში.

ბელგრადის „რეკორდი“

ვაშინგტონი, 28 ივნისი. (საკდესი). როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა, შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები მაისში 0,7 მილიარდი დოლარით გაიზარდა აპრილთან შედარებით და შეადგინა 6,9 მილიარდი დოლარი. ეს პენტაგონის ახალი ომის შემდგომი „რეკორდია“.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, პენტაგონის ხარჯებმა მიმდინარე საფინანსო წლის თერთმეტ თვეში, რომელიც 30 ივნისს მთავრდება, მიაღწია 70,08 მილიარდ დოლარს, ხოლო მთელი საფინანსო წლის განმავლობაში შეადგენს 76,2 მილიარდ დოლარს. აქედან დაახლოებით 28 მილიარდი დოლარი მოხმარდა ვიეტნამის ომს.

ბელგრადი

საგარეო პოლიტიკა

**ბელგრადი, 28 ივნისი. (საკდესი). ბელგრადის ფედერალურ ასამბლეაზე ბელგრადელ ინტელიგენტებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, ეკონომისტებს, ექიმებს, ადვოკატებს, ჟურნალისტებს, ფილოსოფოსებს, ისტორიკოსებს, ეთნოლოგებს, ფილოლოგებს, ბიბლიოთეკრებს, ბიბლიოგრაფებს, ბიბლიოლოგებს, ენციკლოპედისტებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონთა ავტორებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონთა ავტორთა ავტორებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონთა ავტორთა ავტორთა ავტორებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორთა ავტორებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონთა ავტორ

ხალხთა ძმობის მეხოტბე

(დასასრული)

ორგალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ლიტერატურების აყვავებისათვის.

დიდი მწერალი გატაცებით ადიდებდა ხალხთა მეგობრობას და პრაქტიკულად ახმარდა ამ დიდ საქმეს მთელ თავის უშრეტ ენერგიას. რევოლუციის უდიდეს სასწაულად მიაჩნდა მას იმ ხალხთა ლიტერატურის ჩასახვა, რომლებსაც წინათ დამწერლობაც კი არ ჰქონიათ. იგი აღტაცებით წერდა და ლაპარაკობდა იმ უდიდეს პერსპექტივებზე, რომლებიც გადაიშალა ახალი სამყაროს მწერლების წინაშე.

გორკი იყო ჰუმანიზმისა და ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მშვიდობისა და თანასწორუფლებიანობის მეხოტბე, სიძულვილითა და ზიზღით გმობდა კოლონიურ კანიბალიზმს და სიამაყით ლაპარაკობდა საბჭოთა ხალხების თავისუფალ კავშირზე.

გორკი მთელი ეპოქაა რუსულ ლიტერატურაში. მან დიდი გავლენა მოახდინა, კერძოდ, ქართულ ლიტერატურაზე. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ქართულად თარგმნილია ბევრი მისი ნაწარმოები.

გორკის სახელი განუყოფელად არის დაკავშირებული სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასთან, რომლის პირველი წარმომადგენელი თვითონ იყო. ალექსი მაქსიმეს-ძე სპთავეში ედგა მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურას. ის იყო თითქმის ერთადერთი მწერალი, რომელიც თავისუფლად ელაპარაკებოდა მთელ მსოფლიოს საბჭოთა ხალხების ყველა ლიტერატურის სახელით. დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მან ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ამას ისიც მოწმობს, რომ ახალ გორკის დღეებზე საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მწერალთა ამდენი წარმომადგენელი.

ქართველი მწერლების, მთელი ქართველი ხალხის სახელით გ. აბაშიძე მიესალმა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების თვალსაჩინო მწერლებს, რომლებიც პლენუმს ესწრებოდნენ.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მთელი ქართველი ხალხის სახელით იგი გულითადად მიესალმა საქართველოს მწერალთა კავშირის, გამგეობისა და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნოს გაერთიანებული პლენუმის მონაწილეებს და უცხოელ სტუმრებს.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნოს სახელით პლენუმის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ბ. პოლევოი.

გორკის ბევრჯერ მაღლობით მოუგონებია საქართველო, მისი დიდებული ბუნება, მისი ხალხის რომანტიკული სითბო, — თქვა მან, — სწორედ საქართველომ, მისმა თავისუფლებისმოყვარე ხალხმა შთაგონა მწერალს დაეწერა პირველი ლიტერატურული ნაწარმოები — მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“.

— მახსოვს, — თქვა ბ. პოლევოიმ, — 15 წლის წინათ გვიან შემოდგომაზე ქალაქ გორკში, გორკის მოედანზე გაიხსნა დიდი მწერლის ძეგლი. მოედანზე შეკრებილთ შორის დავინახე თავშიშველი ახოვანი მოხუცი სრულიად მელოტი, რომელიც ორატორს უსმენდა და ტიროდა. ვიღაცას ვკითხე ვინ არის-მეთქი ეს მოხუცი. მიპასუხეს პავლე ზალომოვიაო — გორკის რომანის „დედის“ გმირის პავლე ვლასოვის პროტოტიპი.

ახლა დასავლეთში ყოველნაირად ეხმიან თავს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას, ამბობენ, სოციალისტურ რეალიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმართულებას, სიცოცხლის უფლება არა აქვსო. მაგრამ მივმართოთ სტატისტიკურ მონაცემებს. „იუნესკოს კურიერი“, მაგალითად წერს, რომ თავისი სამშობლოს ფარგლებს გარეთ ყველა ლიტერატურათა შორის ყველაზე მეტად იბეჭდება საბჭოთა ლიტერატურა. საბჭოთა მწერლების წიგნები მილიონიანი ტირაჟებით გამოდის. და ვინ არ იცის, რომ საბჭოთა ლიტერატურა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა გორკიმ.

გორკიმ ჩვენ, საბჭოთა მწერლებს, მთელი მსოფლიოს პროგრესულ მწერლებს გაგვიკაფა მილიონობით მკითხველის გულისაკენ მიმავალი გზა. და სწორედ ამით არის იგი უკვდავი.

გორკისადმი მიძღვნილი დღესასწაული დღეს გაიმართა საქართველოში, რომელიც გორკის, როგორც მწერლის სამშობლო გახდა. და ჩვენ ამისათვის მადლობას ვუძღვნით საქართველოს.

მოხსენება „გორკი და საქართველო“ გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა კრიტიკოსმა ბ. ულენტმა. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის დაბადების 100 წლისთავი აღინიშნება როგორც დიდი საყოველთაო სახალხო დღესასწაული, რომ ამ იუბილეს ფართოდ გამოეხმაურა მთელი მსოფლიო. ძნელია ისეთი ქვეყანა დასახელება, სადაც გორკის არ ყოლოდეს მომდევარნი, რადგან მისი სახელი დაკავშირებულია არა მარტო ლიტერატურის ისტორიის ახალ პერიოდთან, არა მარტო პროლეტარული ლიტერატურის ჩასახვასთან ჩვენს ქვეყანაში, არამედ აგრეთვე კაცობრიობის მთელი მხატვრული განვითარების ახალი ეპოქის დაწყებასთანაც.

საქართველოსთან დაკავშირებულია გორკის ბიოგრაფიის ბევრი ნათელი ფურცელი. და საქმე მხოლოდ ის როდია, რომ სწორედ აქ, გაზეთ „კავკაზში“ 1892 წლის 24 სექტემბერს გამოქვეყნდა გორკის პირველი მოთხრობა, არამედ ის, რომ ამ დიდ ადამიანს საქართველოში ბევრი მეგობარი ჰყავდა. ჯერ კიდევ პირველი ჩამოსვლის დროს მან გაიცნო ქართული კულტურის დიდი მოღვაწენი აკაკი წერეთელი, ეგნატე ნინოშვილი, შიო და გოლა ჩიტაძეები. მაქსიმ გორკის მიმოწერა ჰქონდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ბევრ გამოჩენილ წარმომადგენელთან. და ეს მიმოწერა გამსჭვალულია დიდი მწერლის ღრმა ინტერესით ქართველი ხალხის ცხოვრებისადმი, მისი მდიდარი კულტურისადმი, ზრუნვით მისი ტრადიციების შენარჩუნებისათვის.

დიდი პროლეტარული მწერალი კარგად იცნობდა მდიდარ ქართულ ლიტერატურას, დიდად აფასებდა მას და ზრუნავდა, რომ რუსი ხალხისათვის გაეცნო ეს უმდიდრესი საუნჯე.

„ადამიანი — ეს ამაყად ეღერს!“

— ამბობდა გორკი და ადიდებდა ადამიანის სიამაყეს. შოპენჰაუერის პესიმიზმს, რომლითაც იმ დროს გატაცებული იყო მსოფლიო ლიტერატურა, გორკიმ დაუპირისპირა „ქალაშვილი და სიკვდილი“, რომელიც გამსჭვალულია ნათელი ოპტიმისტური ფილოსოფიით, რომლის შესაბამისად კეთილშობილური იდეალებით აღფრთოვანებული ადამიანი ამარცხებს თვით სიკვდილს. ეს ადამიანი უძლეველია სიცოცხლისათვის, სიყვარულისათვის, ქვეყნად სიკეთისათვის ბრძოლაში.

გორკი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მამობრივად ზრუნავდა ჩვენს სახელმწიფოში შემავალ ხალხთა ლიტერატურების განვითარებისათვის, განსაკუთრებით — ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის, ჯერ კიდევ შაბნელი რეაქციის წლებში იგი ზრუნავდა, რომ რუსულად ეთარგმნათ ვაჟა-ფშაველას, ძველი და ორგანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებები.

ქართველი ხალხი, ქართველი ინტელიგენცია, ჩვენი მწერლები გორკის ამ ზრუნვას მგზნებარე სიყვარულით უპასუხებდნენ. საქართველოში დაუცხრომელი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს მის შემოქმედებას. პროლეტარული მწერლის თითოეული ახალი ნაწარმოები დაუყოვნებლივ ითარგმნებოდა ქართულად და ხალხში ერცელდებოდა. **90-იანი** წლების ქართული პრესა და ლიტერატურული კრიტიკა ფართოდ ამოქმედა გორკის შემოქმედებას და ყველთვის დადად აფასებდა მას, როგორც ახალ სიტყვის მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში.

მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის მთელი განვითარება მიმდინარეობდა გორკის შემოქმედებითი იდეების დიდი გავლენით. სულიერი ნათესაობა აკავშირებდა გორკისთან წარსული საუკუნის დამლევისა და ჩვენი საუკუნის დამიგის გამოჩენილ მწერლებს, იმ მწერლებს, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში ასახავდნენ მანკიერ ბურჟუაზიულ-მემამულურ წყობილებას, გულწრფელად მიესალმებოდნენ დიდი რევოლუციური ქარიშხლის მოახლოებას.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, იგი ისევე როგორც მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა მთლიანად იზრდება და ვითარდება სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის საფუძველზე. ეს კი ნიშნავს, რომ ყველა თანამედროვე ქართველი მწერალი საბჭოთა ლიტერატურის, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დიდი ფუძემდებლის მემდეგეარია.

ტრიბუნაზეა ცნობილი კუბელი პოეტი **ნიკოლას გილიენი.**

როცა პირველად წავიკითხე გორკი, ჯერ ჭაბუკი ვიყავი, თქვა ამ ჭაღარა კაცმა. მაშინვე მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. რამდენიმე თვის მანძილზე მშვიდად ვერ ვიგონებდი ამ დიდ მწერალს. ხოლო როცა ხელში ჩამივარდა რომანი „დედა“, ოპტიმიზმით აღვივსე, ვიწამე რომ სამართლიანობა აუცილებლად გაიმარჯვებდა. გორკიმ ჩამინერგა რწმენა, რომ ადამიანი დაბადებულია ბრძოლისა და გამარჯვებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის წლებმა დამარწმუნეს რაოდენ მართალი იყო გორკი. და ჩვენ ახლაც გვესმის მწერლის მტკიცე ნაბიჯების ხმა. იგი ახლობელია ჩვენთვის სწორედ ამ რწმენით და აღტაცებული ვართ მისი ქედუხრელობით.

ნიკოლას გილიენი კუბის კულტურის მუშაკთა სახელით ძმურად მიესალმა პლენუმის მონაწილეებს. მან წაიკითხა ლექსი „რა მაქვს“, რომელიც კუბის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაწერა.

— ძლიერ მოხარული და აღფრთოვანებული ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა გამოვსულიყავი ამ პლენუმზე, — თქვა ვიეტნამელმა ლიტერატორმა **ხოანგ სუან ნიმ.**

ახლა ჩემს სამშობლოს დასტრიალებენ ამერიკის თვითმფრინავები, ჩემს თანამემამულეებს ეცემა ბომბები, იღვრება თავისუფლებისმოყვარე ხალხის სისხლი.

ვიეტნამელები კარგად იცნობენ გორკის. ჩვენთვის იგი ბრწყინვალე მაგალითია მწერლისა, რომელმაც განვლო ცხოვრების დიდი სკოლა. გორკი დღეს გვასწავლის ჩვენ, ადამიანებს, რომლებიც ვიბრძვით თავისუფლებისათვის, როგორ უნდა ვიცხოვროთ და ვიბრძოლოთ სრული ბედნიერებისათვის. ჩვენ დიდ პატივს ვცემთ დიდი მწერლის შემოქმედებას. მისი აქტიური სულისკვეთება — მებრძოლის სულისკვეთება ძალას გვმატებს ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში. გორკის გმირები ჩემს ხალხს უნეტარეს მტკიცე ნებისყოფასა და რწმენას, რომ მართალი საქმე გაიმარჯვებს.

ტრიბუნაზეა ცნობილი ქართველი ბელეტრისტი **დ. შენგელაია.** იგი ლაპარაკობს გორკის შემოქმედების ორ წყაროზე — რევოლუციურ რომანტიზმსა და რეალიზმზე, რომლებმაც განსაზღვრეს ის საოცარი ჰარმონია, რომელიც გორკის ნაწარმოებებში გვხიბლავს. სწორედ ამ ჰარმონიას უწოდებენ დღეს სოციალისტურ რეალიზმს, რომლის ფუძემდებელიც იყო დიდი გორკი. სწორედ ამიტომ ის სამართლიანად დადგა ლიტერატურის ორი მძლავრი ნაკადის — რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურების მიჯნაზე.

მოგზაურობამ, ოცნებამ, დაუცხრომელმა მისწრაფებამ სამართლისადმი სული შთაბერა მის პირველ ნაწარმოებებს, ახალგაზრდული გრძნობით აღავსო და გაათბო ისინი.

შემდგომში გორკი გახდა პროლეტარიატის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე მგოსანი, მისი უდიდესი ხელოვანი, პირველი საბჭოთა მწერალი, რომელსაც უდიდესი პატივისცემით ჩაბარეს საბჭოთა მწერლების კავშირის მწერლის ბილეთი ნომერი ერთი.

ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი დაუცხრომლად იღვწოდა ხალხის კულტურის ამაღლებისათვის. არ ყოფილა არცერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყება, რომ მას არ ეხელმძღვანელა. სიცოცხლის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გორკი წერდა მგზნებარე პუბლიცისტურ სტატიებს, დაუცხრომლად ხელმძღვანელობდა საგამომცემლო საქმეს, რედაქტორობდა ჟურნალებს.

32 წელია, რაც გორკი ჩვენგან წავიდა, მაგრამ როგორც დიდმა ქართველმა მოაზროვნემ ილია ჭავჭავაძემ თქვა, ერთი სიკვდილი რას უზამს ორჯერ დაბადებულს.

ბულგარელ მწერალთა სახელით პლენუმის მონაწილეებს მიესალმა **ივანე ცვეტკოვი.**

— ბედნიერი ვარ, — თქვა მან, — რომ ჩამოვიდა ამ მშვენიერ ქვეყანაში, რუსთაველისა და ჭავჭავაძის, გურამიშვილისა და წერეთლის სამშობლოში. აქ უფრო ვიგრძენი, რომ გვაერთიანებს საერთო იდეები, ურღვევი კავშირი დიდ რუს ხალხთან.

გორკის იუბილემ, რომელიც წელს ფართოდ აღნიშნა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დიდი საბჭოთა მწერალი ერთნაირად ძვირფასია მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. გორკის შემოქმედება გვასწავლის, რომ ყველა კეთილ ნების ადამიანი უნდა დაძმობილდეს.

თურქმენმა მწერალმა **ბ. ქერბაბაევმა** თქვა, რომ მაქსიმ გორკის შემოქმედებამ გაამდიდრა საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული კულტურა.

გორკის ტრადიციები, — თქვა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მდივანმა **ფ. ტაურინმა,** — განაგრძობენ ამ დიდ საქმეს, რომელიც მწერალმა წამოიწყო. გორკი არა მარტო დიდი მწერალი, არამედ დიდი ადამიანიც იყო. იგი ზრუნავდა ახალგაზრდა ლიტერატორთა აღზრდისათვის. ჩვენ, საბჭოთა მწერლებმა, უნდა განვაგრძოთ გორკის საქმე. და ამის თქმა განსაკუთრებით სასიამოვნოა აქ, მწერლის ლიტერატურულ სამშობლოში.

იუგოსლავმა ლიტერატორმა **რადოვან ზოგოვიჩმა** თქვა, გვახსოვდეს მაქსიმ გორკის ანდერძი, ვიცავდეთ მას, ვავითარებდეთ და შემოქმედებითად ვიყენებდეთ, ნიშნავს ვასრულებდით ჩვენს რევოლუციურ მოვალეობას და საკადრის პასუხს ვცემდეთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენას.

ახლა თანამედროვე ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნის ლიტერატურისთვისაც კი მოდური გახდა ადამიანში მხოლოდ შავბნელი და ბოროტი საწყისების ძიება. ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანებს წვავთვათ ნათელი ადამიანური საწყისის რწმენა.

დე ეს პლენუმი, რომელიც გაიმართა ქალაქში, სადაც ლიტერატურული გზა დაიწყო დიდმა გორკიმ, ყველა ჩვენგანისთვის, მისი მოწაფეებისა და მომდევნეებისათვის იყოს სტიმული, რათა დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები მისი დიადი ანდერძის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

— ჩვენ, კავკასიელებს, — თქვა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მდივანმა, ყაბარდო-მალყარეთის ლიტერატურის წარმომადგენელმა **ა. კეშოკოვმა,** — ბედი გვწყალობს. სხვადასხვა დროს კავკასიაში ჩამოსულან პუშკინი, გრიბოედოვი, ლერმონტოვი. აქ ჩამოვიდა ყველასათვის უცნობი ალექსი პეშკოვი, ხოლო აქედან კი, კავკასიიდან დაბრუნდა უკვე გენიალური მწერალი. თვით ბედმა გადაწყვიტა, რომ გორკის სა-

ᲖᲔᲘᲛᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲠᲣᲚᲘ

ᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲗᲛᲝᲛᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲛᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲔᲡᲐᲛᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲗᲐᲛᲪᲝᲓᲜᲔᲚᲗᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲥᲡᲘᲛ ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲔᲜ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲛᲘᲗᲘᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲠᲘᲡᲝ ᲘᲬᲕᲔᲓᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲒᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲗᲐᲛᲪᲝᲓᲜᲔᲚᲗᲐ ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡᲘᲜᲘ:

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝᲛ! ᲞᲔᲨᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲘᲗ ᲛᲝᲒᲘᲡᲐᲛᲔᲑᲗᲐᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲚᲝᲑᲗᲐᲗ ᲒᲘᲫᲕᲔᲜᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲔᲗ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲘᲡ-ᲫᲔ ᲒᲝᲠᲙᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲖᲔᲓᲠᲐᲓ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Დ. ᲣᲚᲔᲜᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓ�გᲘᲚᲔ Ვ. ᲡᲘᲠᲐᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲘᲒᲘ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲛᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲔᲡᲐᲛᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲗᲐᲛᲪᲝᲓᲜᲔᲚᲗᲐ ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ბ. ᲞᲝᲚᲔᲕᲝᲘ.

ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲣᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲛᲘᲡᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲘᲗᲑᲝ, — თქვა მან, — სწორედ საქართველომ, მისმა თავისუფლებისმოყვარე ხალხმა შთაგონა მწერალს დაეწერა პირველი ლიტერატურული ნაწარმოები — მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“.

— მახსოვს, — თქვა ბ. პოლევოიმ, — 15 წლის წინათ გვიან შემოდგომაზე ქალაქ გორკში, გორკის მოედანზე გაიხსნა დიდი მწერლის ძეგლი. მოედანზე შეკრებილთ შორის დავინახე თავშიშველი ახოვანი მოხუცი სრულიად მელოტი, რომელიც ორატორს უსმენდა და ტიროდა. ვიღაცას ვკითხე ვინ არის-მეთქი ეს მოხუცი. მიპასუხეს პავლე ზალომოვიაო — გორკის რომანის „დედის“ გმირის პავლე ვლასოვის პროტოტიპი.

ახლა დასავლეთში ყოველნაირად ეხმიან თავს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას, ამბობენ, სოციალისტურ რეალიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმართულებას, სიცოცხლის უფლება არა აქვსო. მაგრამ მივმართოთ სტატისტიკურ მონაცემებს. „იუნესკოს კურიერი“, მაგალითად წერს, რომ თავისი სამშობლოს ფარგლებს გარეთ ყველა ლიტერატურათა შორის ყველაზე მეტად იბეჭდება საბჭოთა ლიტერატურა. საბჭოთა მწერლების წიგნები მილიონიანი ტირაჟებით გამოდის. და ვინ არ იცის, რომ საბჭოთა ლიტერატურა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა გორკიმ.

გორკის სახელი განუყოფელად არის დაკავშირებული სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასთან, რომლის პირველი წარმომადგენელი თვითონ იყო. ალექსი მაქსიმეს-ძე სპთავეში ედგა მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურას. ის იყო თითქმის ერთადერთი მწერალი, რომელიც თავისუფლად ელაპარაკებოდა მთელ მსოფლიოს საბჭოთა ხალხების ყველა ლიტერატურის სახელით. დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მან ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ამას ისიც მოწმობს, რომ ახალ გორკის დღეებზე საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მწერალთა ამდენი წარმომადგენელი.

ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

28 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ თბილისელებმა კვლავ მიიღეს სტუმრები — ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნოს გაერთიანებული პლენუმის მონაწილეების ჯგუფი.

სტუმრების დასაბვედრად თბილისის აეროპორტში მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. სტურუა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **მოადგილე ვ. სირაძე,** საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი **გ. აბაშიძე,** პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მწერლები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები. ქალაქის მშრომელები გულითადად, მეგობრულად შეხვდნენ სტუმრებს. პიონერებმა თაიგულები მიართვეს მათ.

ზეიმში მონაწილეობისათვის ჩვენს ქალაქში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ბორის პოლევოი,** ცნობილი საბჭოთა პოეტები და მწერლები **ბერდი ქერბაბაევი, დავით კუგულდინოვი, ალექსანდრე მეჟეიროვი, რიმა კაზაკოვა, ვალერი კოსოლაპოვი, დიმიტრი ლაშკევიჩი** და სხვები — ადამიანები, რომლებისთვისაც გორკი იყო და არის მასწავლებელი, �ი, რომელსაც თავის უმაღლეს დანიშნულებად და მოვალეობად მიაჩნდა პარტიის საქმის, მშრომელი ხალხის სამსახური. (საქ-დისი).

ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲐ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲝᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ, ᲖᲛᲛᲝᲗ, ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲒ — ᲒᲠ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, Ბ. ᲞᲝᲚᲔᲕᲝᲘ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ), Ბ. ᲥᲔᲠᲑᲐᲑᲐᲔᲕᲘ (ᲗᲣᲠᲥᲛᲔᲜᲔᲗᲘ), Ნ. ᲒᲘᲚᲘᲐ (ᲙᲣᲑᲐ), Ი. ᲜᲝᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ; ᲥᲛᲛᲝᲗ, ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲒ — Ა. ᲒᲘᲚᲘᲐ (ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ), Ა. ᲒᲠᲐᲖ

ჩვენს პრე-ეარქეში

სამეცნიერო სესია აკადემიის ნაფუძარზე

თელავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში იყალთოს რუსთაველის სახელობის კულტურის სახალხო უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა სოფლის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს. იყალთოში ჩამოსულმა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებმა და მეცნიერებათა კანდიდატებმა შეამოწმეს ასობით იყალთოელი კოლმეურნის ჯანმრთელობა. პროფესორების დ. ჯავახიშვილის, შ. ფარჯანაძის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატების ვ. წითლანაძის, ა. რობაქიძისა და ი. საბახტარაშვილის კვალიფიციური სამედიცინო რჩევა და სამედიცინო დახმარება მიიღო ათობით ავადმყოფმა. სესიაზე დამსწრეებს საინტერესოდ ესაუბრა აგრეთვე გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ტ. ჩიჩუა. მისი საუბრის თემა იყო კახეთის ჰიდრომინერალური რესურსების სამკურნალო გამოყენების საკითხი.

სესიის მუშაობა შეჯამა საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ვარდოშვილმა. მეცნიერებს კვალიფიციური სამედიცინო დახმარებისათვის სოფლის სახელით მადლობა გადაუხადა სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა გ. შათირიშვილმა.

ტყუპების შეკრება

ქუთაისი. (საკ. კორ.). მეტად საინტერესო შეკრება გაიმართა ამ დღეებში ქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. აქ თავი მოიყარეს ქუთაისში მცხოვრებმა სამოცზე მეტმა ტყუპმა დედმა და ძმებმა. მათ შორის იყვნენ სამაგვარ ბალის აღსაზრდელები — დები ნინიანიძეები, მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეები — ძმები დათუშიძეები, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები — ძმები ორჯონიკიძეები, დები ჩიხლაძეები. ისინი ერთსა და იმავე ჯგუფში, კლასში ან კურსზე სწავლობენ.

ვუმღერით მაისს, გაზაფხულს, ჩვენს ბედნიერ ბავშვობასა და ჰაუკობას — ამ დევიზით წარმართა ტყუპების საზეიმო შეკრება.

ქალაქის ბიონერები გულთბილად მიესალმნენ ტყუპებს და სამაწსოვრო საჩუქრები გაუმაცეს.

შირვანის „ზღვა“

ალი-ბაირამლი. (აზერბაიჯანის სსრ). (საკუთარი კორ.). აქ დამთავრდა კიდევ ერთი, სათვალავით მეშვიდე წყალსაცავის აგება. ამ წყალსაცავის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ ხელოვნურად შექმნილი წყლის ფართობი რესპუბლიკის ახალგაზრდა ინდუსტრიული ცენტრის რაიონში დაახლოებით ათას ჰექტარს შეადგენს. შირვანის ველის პირობებში ეს მთელი „ზღვაა!

შირვანის „ზღვა“, რომელიც ქალაქის მშრომელებმა შექმნეს საყოველთაო სახალხო მშენებლობის მეთოდით, დასვენების მშვენიერი ადგილია. წყალსატევების გარშემო, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია არხებით, ფიჭვები და ალვის ხეები შრიალებენ.

შირვანის „ზღვა“ 85-ე ხელოვნური ტბაა აზერბაიჯანში.

თეატრალური ქრონიკა

ახალი სპექტაკლები

□ ამ დღეებში თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა ი. ვაკელის პიესა „აბრაჰუნი“.

სპექტაკლი დადგა თელავის თეატრის მთავარმა რეჟისორმა ლ. პაქსაშვილმა, მხატვრულად გააფორმა ედ. სარაზოვმა.

ნ. პატარიძე.

□ **ორი ახალი** სპექტაკლი უჩვენა მაყურებელს ფოთის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა. გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“ დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ვაჩნაძემ, ხოლო კასუმოვის და სეით-ბეილის „რისთვის ცხოვრობ“ დადგმა განახორციელა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ს. ყიფშიძემ.

კ. კომახიძე.

□ **ამას წინათ** ონის სახალხო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ოთარ ლაიზევიცის ტრაგედია „იულიუს ტარანტელი“. ახალი დადგმა მიეძღვნა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავს. სპექტაკლი დადგა და მხატვრულად გააფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეფისორმა ბიბა ჯაფარიძემ.

დ. ხახიაშვილი
ნ. დუშუაშვილი.

ბრემიები საუკეთესოებს

ეურნალისტის ცენტრალურ სახლში გაიმართა რედაქციების, ეურნალ-გაზეთების, გამომცემლობების მუშაკთა კრება, რომელიც მიეძღვნა ხრულიად საკავშირო ფოტოგამოფენის „სამშობლოს სადარაჯოზე“ შედეგებს. კრება მოეწყო სსრ კავშირის ეურნალისტთა კავშირისა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ინიციატივით და მიეძღვნა საბჭოთა შეიარაღებული ძალების 50 წლისთავს.

ექსპოზიციისათვის შეარჩიეს 285 ფოტოსურათი. დამთვალიერებლებს განსაკუთრებით მოეწონათ ისტორიული, დოკუმენტური და მხატვრული ფოტოსურათები, რომლებიც ასახავენ სამოქალაქო ომის ბრძოლებში ახალგაზრდა წითელი არმიის შექმნას და დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ადამიანების გმირობას. გამოფენა დათვალიერა 88 ათასზე მეტმა კაცმა.

გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა არმიის გენერალმა პ. ი. ბატოვმა წაიკითხა ეიურის გადაწყვეტილება.

პირველი პრემიები მიენიჭათ ა. ვ. პროხოროვს ნამუშევართა სერიისათვის „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის პირველი წლები“, ბ. ს. შუტოვს — ფოტოსურათების სერიისათვის „სარაპეტო ჯარები“.

მეორე პრემიები მიიღეს ს. ი. ლოსკუტოვმა სურათისათვის „ზიზღი“, ი. ნ. ხაჩატოვმა და ე. ა. უდოვიჩენკოვ სერიისათვის „ეკვრთნა „დნეპრი“, ვ. ჯ. კუნიაევმა, ვ. ს. კულიჩენკოვ ფოტოსურათების სერიისათვის „ჯარების გვარეობანი“.

მესამე პრემიები მიენიჭა ცხრა ავტორს.

კრებაზე წაიკითხეს გადაწყვეტილება ცენტრალური ეურნალ-გაზეთების რედაქციების პროზებით ზოგიერთი ფოტოკორესპონდენტის დაჯილდოების შესახებ.

ჯ. ი. ბატოვმა განაცხადა, რომ ეურნალისტთა კავშირმა გამოფენის მთელი ექსპოზიცია საჩუქრად გადასცა საბჭოთა მეომრებს. (საკ. ესი).

გასტროლები და შთაბეჭდილებანი

გულელმის სამი გმირი

საქართველოს დედაქალაქ თბილისში საოპერო სეზონი პირველად 1851 წლის 9 ნოემბერს გაიხსნა. დასი იტალიიდან სპეციალურად მოწვეული მომღერლებით და დირიჟორებით იყო დაკომპლექტებული. პირველ დღეს იტალიელებმა დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმური“ უჩვენეს.

როგორც ცნობილია, 1851 წლის ნოემბერში თბილისში ძმასთან სტუმრად იყო ახალგაზრდა ლევ ტოლსტოი. იგი თეატრის ხშირი სტუმარი ყოფილა. 1851 წლის 12 ნოემბერს თავისიანებთან მიწერილ ბარათში ლევ ტოლსტოი წერდა: აქ არსებობს რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, სადაც მე შეძლებისამებრ ვეწერები წარმოდგენებს.

დიახ, 1851 წლის 9 ნოემბერი იყო ქართული მუსიკალური კულტურის ჭეშმარიტად ისტორიული დღე. სწორედ ამ დღიდან ჩაეყარა საფუძველი საქართველოში საოპერო ხელოვნების ურთულეს საქმეს...

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო.

უკანასკნელი 50 წლის მანძილზე თბილისის საოპერო სცენას არც ერთი მომღერალი არ სტუმრებია მილანის საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი „ლა-სკალას“ თეატრიდან. ამითაც იყო განპირობებული ის დიდი ინტერესი, რომლითაც თბილისელი მაყურებელი ასე მხურვალედ მოელოდა მარგარიტა გულელმის ჩამოსვლას. დიახ, ჩვენი სასცენო მოღვაწეობის 34 წლის მანძილზე პირველად მომეცა შესაძლებლობა (და განა მარტო მე?) უშუალოდ მეხილა, მომესმინა და შემდეგ სცენურ ურთიერთობაში ახლოს გამეცნო მსოფლიოში აღიარებული, მილანის საოპერო თეატრის „ლა-სკალას“ წამყვანი მომღერალი ქალი მარგარიტა გულელმი.

იგი ჩვენს სცენაზე პირველად ვერდის ოპერა „რიგოლეტოში“ გამოიყენა. მარგარიტა გულელმი ჯილდაში უწინარეს ყოვლისა მსმენელს თავისი აქტიორული გულწრფელობით და ახალგაზრდული სიფაქიზით იპყრობს. ჯილდა გულელმის განსახიერებით ოცნებობით ათრთოლებული გულუბრყვილო, ღაღი ბუნების შვილია. მისი გამოუცდელი ბუნება ყველაფერს შიშისა და ეჭვის თვალით უცქერის. მსახიობი საოცარი ძალით ხატავს ჯილდას სიწმინდით ანთებულ სახეს. მისი სცენური, ოსტატურად გამოკვეთილი ნიუანსები ამსოლუტური სიზუსტით ორგანულ მთლიანობაშია ჯ. ვერდის მუსიკალურ ტექსტთან.

ახალგაზრდა მომღერალი ქალი ზუსტად იცავს იტალიურ სოლო სიმღერის ტრადიციებს და „ბელკანტოს“ ჭეშმარიტ სინატიფეს უქვემდებარებს. მას აქვს მეტად ლამაზი, ელვარებით სავსე, მოქნილი, ტექნიკურად გამართული კოლორატურა. ხმის ამ ღირსშესანიშნავ თვისებებს იგი სწორედ მაღალი სეშმარსულებო ოსტატობით, გულწრფელობით და აქტიორული მზნეობრებით სწევს ძლიერ მაღლა. მომღერალი შესანიშნავად გრძნობს სცენას.

მარგარიტა ასეთივე მიმზიდველი და აღმაფრთოვანებელია დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმურში“. აქ მომღერალი ქალი მთლიანად შლის თავისი ნიჭის შესაძლებლობათა ფრთებს და დახვეწილი მხატვრული გემოვნებით, მსუბუქი, ძალდაუტანებელი ვოკალური შემართებით, აქტიორული ოსტატობით ბრწყინვალე ზეგავლენას ახდენს მსმენელზე. მე მქონდა ბედნიერება მასთან ერთად „ლუჩიაში“ ჰენრიხის პარტია მემღერა. ლუჩია ჯილდასთან შედარებით მეტად ღრმა კონტრასტებით დახატული მუსიკალური სახეა. მას მარგარიტა გულელმი შესანიშნავად არმშევს თავს. ლუჩია — გულელმი თავისი ძმის ჰენრიხის ეგოისტურ ზრახვათა მსხვერპლი ხდება. საშინელი ყოლიერი ტანჯვის შედეგად ის საშუალოდ კარგავს სიმშვიდეს და ბორტებისა და ძალმომრეობის ქარცეცხლში მოქცეული სამუდამოდ იფერფლება.

მარგარიტა გულელმი უაღრესად ემოციური მომღერალია, მისი მხურვალე ტემპერამენტი ყველაზე აღრე მის პარტნიორებს სწვდება. მე საკმარისად ბევრ ნიჭიერ ლუჩიას შეხვედრივარ სცენაზე, მაგრამ მარგარიტა ნამდვილად ბედნიერ გამონაკლისთა კატეგორიას მიეკუთვნება.

მესამე საგასტროლო სპექტაკლი, რომელშიც მომღერალმა მიიღო მონაწილეობა, როსინის „სევილიელი დალაქი“ იყო. ამ ოპერის გმირი ქალი როზინა მომღერლისაგან მოითხოვს ელვარე კოლორატურას, მალალ ტექნიკას, მკაფიო სცენურ გამომსახველობას, ეუმორის გრძნობას. საერთოდ როსინის გენიალური ქმნილება ყველა წამყვანი პარტიების შემასრულებლებისაგან ხმის ვირტუოზულ მართვას მოითხოვს.

მსახიობი ქალი როგორც „რიგოლეტოში“ და „ლუჩიაში“, აქაც თანაბარი ძალით იყენებს შესატყვის ნიუანსებს და როზინას ფიცხელი სიჯანსაღით აღსავსე კეკლუცე სახეს მეტად სახერად გადმოგვცემს. ის ყველა სიტუაციაში ხმის ფერადოვნებასთან ერთად სცენურ გარდასახვასაც ახერებს. იშვიათი მრავალფეროვნებით ატარებს სცენებს გრაფ ალმავივასთან, ფიგაროსთან და მოთამაშეზრებელ მფარველთან დონ-ბარტოლოსთან. მისი მომხიბვლელი ხმა და აქტიორული მრავალმხრივობა კიდევ უფრო აშკარად გამოვლინდა როზინას შესრულებისას. მარგარიტა გულელმი დაჯილდოებულია გამონაკლისთა ბედნიერი თვისებებით. მისი სცენაზე ერთხელ გამოჩენაც კი სიხარულის გრძნობას იწვევს მაყურებელში. სწორედ ასეთი სწორუპოვარი სილამაზე მოგვევლინა ჩვენ ის „სევილიელ დალაქში“.

მარგარიტა გულელმის ყველაზე მკვეთრად გამოკვეთილ ვოკალო-აქტიორულ ღირსებებთან ერთად მინდა აღვნიშნო ერთი იშვიათი თვისება, ნიადაგ თან რომ ახლავს, როგორც მომღერალს, როგორც ჭეშმარიტ მხატვარს: მისი ყოველი ფრაზა, ყოველი ჟესტი თუ ტანის მოძრაობა ერთ მთლიან და ძირითადს —როლის შინაგანი სამყაროს რეალისტურად ასახვას ემსახურება.

ბ. კრავეიშვილი,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

სპექტაკლი „ლუჩია დი ლამერმური“. მარცხნიდან — ბ. კრავეიშვილი (ჰენრიხი), მარგარიტა გულელმი (ლუჩია), ნ. ანდღულაძე (ედგარი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ტალი თუ ვ. კორჩნოი?

ბევრნი ისურვებენ საკვირველი ბალეტის „ეტალონის“ სახელის საკონცერტო დარბაზში მეტოქეები კვლავ მიუსხდნენ საჭადრაკო მაგიდას, თეორიებით თამაშობდა ვ. კორჩნოი. მოწინააღმდეგენი არ ცდილან ბრძოლის გამწვავებას და 28-ე სვლაზე ვ. კორჩნოის წინადადებით ყაიმზე შეთანხმდნენ.

მატჩის ანგარიში გახდა 1:1.

სკოლელები, ევროპის ჩემპიონატზე

ბალე იუგოსლავიის ქალაქი სკოპლე დიდი ასპარეზობის მოწმე იქნება. აქ 2-დან 4 ივლისამდე გაიმართება ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც ბეხკოს ოლიმპიური ასპარეზობის წინ ძალთა უკანასკნელი მოსინჯვაც იქნება.

იუგოსლავიის სპორტული მიმომხილველები წარმატების საბჭოთა მოჭიდავეებს უწინასწარმეტყველებენ. სსრ კავშირის მოჭიდავეთა გუნდი უკვე გაემგზავრა იუგოსლავიაში. ვინ შედის საბჭოთა ნაკრებში?

ესენი არიან: უმჩატეს წონაში — ზ. შეყრილაძე, ჭიატე წონაში — ა. ალიევი, ქვემსუბუქ წონაში — ე. თედეევი, მსუბუქ წონაში — ი. გუსოვი, ქვესაშუალო წონაში — ვ. საღარაძე, საშუალო წონაში — ა. ცხოვრებოვი, ქვეძმიმე წონაში — ვ. გულიუტკინი, ძმიმე წონაში — ა. მედვედი.

ა. მეტრეველი
უტაევს

ზიმბალდონის ტურნირი ჩოგბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია. ამ ასპარეზობაზე წარმატებით გამოდის ჩვენი თანამემამულე ა. მეტრეველი. მორიგ ტურში მან დაამარცხა ფრანგი ბესტა 6:1, 6:1, 6:1, შემდეგ კი მსოფლიოში აღიარებული ჩოგბურთელი — გონსალესი 6:4, 4:6, 6:3, 7:5.

კომუნისტი

მშობლიური პეიზაჟები



სოფელ ლიკანში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პირველი გამარჯვება

„**დინამო**“ (თბილისი) — სპა (დონის როსტოვი) 3:0 (1:0). თბილისი. 28 ივნისი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ს. ალიმოვი (მოსკოვი).

„**დინამო**“ — ურუშაძე (გოგია), ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ასათიანი, კუტივაძე, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი (ილიადი);

სპა — ბოიჩენკო, კორნეევი, გეტმანოვი, კრაეჩენკო, აფონინი, კაზაჩკი, პოპოვი, ბორდოვსკიხი, კოპაევი, რომანოვი (ანფიმიადი), კალიმკო (ბუროვი).

გუშინ თბილისის დინამოელები სსრ კავშირის თასისათვის ბრძოლაში ჩაებნენ. მეთექვსმეტედფინალში მათი მეტოქე იყო დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი.

თბილისელთა უპირატესობა თავიდანვე აშკარა გახდა, ისინი მოჭიდებდნენ ტემპიანად, ინიციატიურად და საგოლე მომენტებიც ბევრი ჰქონდათ. პირველი ტაიმის შედეგი იყო 1:0 დინამოელთა სასარგებლოდ. მეოხუთმეტე წუთზე ბურთი გაიტანა **ბაბაშელმა.**

ბრძოლის სურათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა. 30-ე წუთზე გუნდის კაპიტანმა **მეტრეველმა** და ხუთი წუთის შემდეგ **ასათიანმა** თავური დარტყმით მატებითი 2 ბურთი გაიტანეს.

გაიმარჯვეს დინამოელებმა 3:0 და მერვეფინალში გავიდნენ, სადაც მათი მეტოქე იქნება სვერდლოვსკის „ურალმაში“.

ნინასაოლიმპიადო...

კალათბურთელ ვაჟთა ოთხი ნაკრების ტურნირი მინსკში დაიწყო და გუშინ მოსკოვში ფინიში ჰქონდა.

თუ როგორ განაწილდებოდა საპრიზო ადგილები, დამოკიდებული იყო გუშინდელ დასკვნის შეხვედრებზე, პირველ რიგში სსრ კავშირისა და ამერიკის გუნდების მატჩზე. გაიმარჯვეს საბჭოთა კალათბურთელებმა 91:80 და პირველი ადგილი დაიკავეს.

მერვეფინალში გავიდნენ

პოპულარული პრიზის — სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩები სიურპრიზებით დაიწყო. როგორც ვიწყებოდით, უმაღლესი ლიგის ოსეთი კოლექტივები, როგორც არიან ლენინგრადის „ზენიტი“, ოდესის „ჩერნომორეცი“ და კიროვობადის „დინამო“, პირველსავე შეხვედრაში დამარცხდნენ და გამოეთიშნენ თასისათვის მებრძოლთა რიგებს. გუშინ გაიმართა კიდევ ცხრა მატჩი.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობდა შეხვედრა კიევში საიუბილეო ჩემპიონატის ლიდერებს მოსკოვის „სპარტაკსა“ და კიევის „დინამოს“ შორის. გაიმარჯვეს დინამოელებმა 3:0.

არანაკლებ საინტერესო იყო დედაქალაქის ორი გუნდის — — ცსკა-სა და „ლოკომოტივის“ პაექრობა მოსკოვში. წარმატება ცსკა-ს ხვდა 4:1.

უფაღლესი ლიგის კიდევ ორი წარმომადგენელი შეხვდა ერთმანეთს გუშინ. ესენი იყვნენ „ზარიასა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდები. მატჩი შედგა ლუგანსკში და დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით 3:1.

აი დანარჩენი მეთექვსმეტედფინალური შეხვედრების შედეგები:

ლენინგრადში — „დინამო“ (ლენინგრადი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:4.

ფერგანაში — „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:2.

კრასნოდარში — „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „დინამო“ (მოსკოვი) 0:3.

ხუმში — „სპარტაკი“ (ხუმი) — „კაირატი“ (ალმა-ატა) 1:3.

აშხაბადში — „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „ჭრილიანი სოვეტოვი“ (ყუიბიშევი) 3:0.

ამრიგად, სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვეფინალში გავიდნენ — სარატოვის „სოკოლი“, ტაშკენტის „პახტაკორი“, მინსკის „დინამო“, კიევის სკა, კემეროვოს „კუზბასი“, სვერდლოვსკის „ურალმაში“, ბაქოს „ნეფტჩი“, თბილისის „დინამო“, ლუგანსკის „ზარია“, კიევის „დინამო“, დონეცკის „შახტიორი“, ცსკა, მოსკოვის „ტორპედო“, ალმა-ატის „კაირატი“, მოსკოვის „დინამო“ და აშხაბადის „სტროიტელი“.

რამდენიმე სტრიქონით

△ **საბჭოთა** სპორტის მოყვარულთათვის ცნობილი საკლუბო გუნდი — ზაბეფეს „გურნიკი“ პოლონეთის თასის მფლობელი გახდა. „გურნიკმა“ ფინალში დაამარცხა ამავე ქვეყნის ჩემპიონი — ხოეუვეს „რუხი“ 3:0. „გურნიკის“ ფეხბურთელები მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჭაბუნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

△ **ბაიმარა** „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მესამე ქვეჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში. თბილისში ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და იოშკარ-ოლას „სპარტაკის“ შეხვედრა დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0. ტყიბულის „მეშახტისა“ და ასტრახანის „ვოლგარის“ შეხვედრას შეხვედა ფრე 1:1.

ოლიმპიადა

ოთხშაბათი, 3 ივლისი

10.50 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 11.35 — მხატვრული ფილმი „ერთი ახალგაზრდის ცხოვრების ოთხი ფურცელი“, 13.00 — საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „დინამო“ თბილისი — „დინამო“ კიევი. შესვენების დროს — ახალი ამბები და განცხადებები, 20.00 — გადაცემა „მხატვარი, დრო, საზოგადოება“, 20.40 — კინონარკვევი, 20.50 — „ოქროპირი“ — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი, 21.35 — მხატვრული ფილმი „ერთი ახალგაზრდის ცხოვრების ოთხი ფურცელი“, 22.55 — „ოთამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 11-დან 00 ს. და 30 წუთამდე.

ხუთშაბათი, 4 ივლისი

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — რუმინული მხატვრული ფილმი „მეოცე საუკუნის ფაუსტი“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მანუელა“, 18.50 — გადაცემათა „ახალგაზრდული ჟურნალი“, 19.30 — „ეარიანის კომუნისტური პარტია 50 წლისაა“ (გადმოცემა კიევიდან), 20.00 — გადაცემა „ბავშვებო! მსოფლიოს ხალხებს“, 20.20 — ციხლიდან „გამოჩენილი კომპოზიტორები“ — შარლ გუნო. 21.05 — ინტერვიუ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ გ. ტოვსტონოგოვთან, 21.45 — „ოთამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.15 — ფ. ლოუ „ილიზა დულიტლი“ — სატელევიზიო მუსიკალური სპექტაკლის პრემიერა (გადმოცემა ლენინგრადიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 11-დან 00 ს. და 20 წუთამდე.

პარასკევი, 5 ივლისი

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 12.00 — ფ. ლოუ „ილიზა დულიტლი“ — სატელევიზიო მუსიკალური სპექტაკლი (4 ივლისის გადაცემის გამეორება), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — სატელევიზიო ჟურნალი ფიზკულტურა და სპორტი (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 18.45 — გადაცემა „ეკრანმიღმა კომბინატში“, 19.10 — ქართული მხატვრული ფილმი „კეთილი ადამიანები“, 20.30 — „ოთამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 21.00 — „ტელეპანორამა“, 21.30 — კონცერტი, 22.00 — ახალი ამბების ესტაფეტა (გადმოცემა მოსკოვიდან).

„კომუნისტის“ ლეგანდელი ნომერი 6-გვერდიანია

რადიო

კვირა, 30 ივნისი

06.35 — ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, 08.30 — სიმღერები სიტყვებზე, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — ა. ბალანჩივაძე. ბალადა ფორტეპიანოსათვის, 11.00 — უკრავს თბილისის კამერული ორკესტრი, 11.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15 — მუსიკალური რადიოთეატრი, 12.45 — ქართული ხალხური სატრფიალო სიმღერები, 13.00 — „პარტია და კომკავშირი“. რადიოფილმი (მოსკოვი), 14.00 — ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილი რადიომატინეგი, 14.45 — გადაცემა ციკლიდან „მომე სოციალისტურ ქვეყნებში“, 15.00 — კონცერტის ტრანსლაცია ბაქოდან, 15.40 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. „მეგობრობის ტალღებზე“, 16.00 — მუსიკალური რადიოჟურნალი „ჩანგი“, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.00 — „საბჭოთა ქვეყნის კომკავშირი. 1968 წლის 5 ივნისი (მოსკოვი), 19.00 — გადაცემა „ფეხბურთელის საგზურებით“, 20.20 — ლექსები ახალგაზრდობაზე, 20.45 — გადაცემა „შეხვედრები ახალგაზრდობის клუბში“, 21.45 — კონცერტი ახალგაზრდების თხზულნი, 23.30 — მუსიკა კინოფილმებიდან.

ტელევიზია

● შაბათი, 29 ივნისი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „ვილოცავთ დაბადების დღეს“ — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სამაბათო რეპორტაჟი (გადმოცემა ვილნიუსიდან), 12.00 — დონიცეტის ოპერა „დონ პასკუალე“ — ტრანსლაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 14.20 — კინონარკვევი „ნოე ბუაჩიძე“, 14.30 — სატელევიზიო თეატრი ბავშვებისათვის — „მარშაკის ზღაპრები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.45 — გადაცემა, გორკის გმირები ეკრანზე“, 16.35 — „მელოდიიდან მელოდიამდე“ — საესტრადო კონცერტი, 17.05 — გადაცემათა პროგრამა, საბჭოთა ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილი პროგრამა, 17.15 — „გილოცავთ დღესასწაულს“, 17.25 — ნარკვევი „გმირთა ნაკვალევზე“, 17.40 — გადაცემა „ასეთ სიყვარულს რა დააბერებს“, 17.50 — „საქმე საქმეა და მისაბაძი“ (სტუდიაში პროფ. მ. მირიანაშვილი), 18.00 — „ყამირი — 68“, 18.10 — სატელევიზიო ნარკვევი „ხალისიანი სტუდენტობა“, 18.55 — „რედაქციაში წერილი მოვიდა“..., 19.20 — სატელევიზიო ფილმი „ყველა ჩემი შვილია“, 20.00 — ეთერშია „ახალგაზრდობა“, — ახალგაზრდობის მეჯლისი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — სტუდიაში საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. მეტრეველი. 21.40 — სატელევიზიო ჟურნალი ახალგაზრდობისათვის „მზეკაბუკი“, 22.50 — საინფორმაციო პროგრამა „თოამბე“, 23.10 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.15 — „სიმღერის მოყვარეთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 10-იდან 00.35 წუთამდე.

● კვირა, 30 ივნისი

09.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 10.15 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მხატვრული ფილმი „პუშჩიკი პრაღას მიეშველებრება“, 12.10 — უფროსკლასელთათვის — მშვიდობით, მშობლიური სკოლა!“, 13.10 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ნახატი ფილმი „ჩხიკვთა ქორწილი“, 13.30 — გაკვეთილ ჩვენთან ერთად, როგორც ჩვენ და ჩვენზე ეკით“ (გადმოცემა ლენინგრადის დოკუმენტური რესპუბლიკიდან). 14.10 — საესტრადო კონცერტი — „მღერის როზი ალმენი“, 14.25 — პროგრესი — სატელევიზიო ჟურნალი, 15.00 — „ეთერშია ახალგაზრდობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.45 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.15 — „საბჭოთა კავშირის ხალხთა ატლასი“ — ეარიანა (გადმოცემა კიევიდან), 17.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.35 — „კინოაფიშა“, 18.05 — ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, 18.25 — ჟურნალი „ახალი ამბები № 20“, 18.35 — გადაცემა „ქართული კლასიკური ლიტერატურა ეკრანზე“, 19.30 — „ეთერშია ახალგაზრდობა“ — „მზეკაბუკისა და მეგობრობის სოლიდარობისათვის“ (ახალგაზრდობის საკავშირო სატელევიზიო მიტინგი), 20.55 — მხატვრული ფილმი „საგამოცდო ვადა“, 22.30 — „ოთამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.40 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.45 — კინონარკვევი — რეპოლუციის ჯარისკაცები, 23.00 — „ოქროს ორფეოსი“ — სიმღერის საერთაშორისო კონკურსი (გადმოცემა ბულგარეთიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 10-დან 00 ს. და 45 წუთამდე.

● ორშაბათი, 1 ივლისი

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის — ნახატი ფილმი „ბირკო-ეაჩინარი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „მუსიკალური მოზაიკა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — მხატვრული ფილმი „ფრთები“ (ქართული ვარიანტი), 14.00 — „ეთერშია ახალგაზრდობა“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — განცხადებები, 18.20 — ბავშვებისათვის — კონცერტი, 19.05 — გადაცემა „მარქსიზმი და თანამედროვე ბურჟუაზიული“ იდეოლოგია (სტუდიაში — პროფესორი ო. ბაკურაძე), 19.30 — კინონარკვევი, 19.40 — გადაცემა „რუსთაველის კამინეტი“, 20.10 — „ოთამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.40 — მუსიკალური გადაცემა „ეკვნი მიქელაძე“, 21.30 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.15 — მხატვრული ფილმი „ფრთები“ (ქართული ვარიანტი).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 11-დან 00 ს. და 30 წუთამდე.

● სამშაბათი, 2 ივლისი

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 12.00 — ქართული მხატვრული ფილმი „კეთილი ადამიანები“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კინონარკვევი, 18.30 — ბავშვებისათვის სატელევიზი